პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ხუთშაბათი, 11 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 131 (1286)

ს. ს. ს. რ. სახ. კომისარ.
სანიტარულ-განმანათლებლ.
ბიბლიოთეკა

დღეს

- საფრანგეთის პრემიერი პენლევე მაროკოში გაემგზავრა.
- ჩინელი შავრაზმელი გენერლები ბრძოლას აწარმოებენ კანტონის რევოლიუციონური მთავრობის წინააღმდეგ.
- დანიის მუშათა გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა.
- ინგლისის საფეიქრო მრეწველობაში კრიზისი დაიწყო.
- საბერძნეთში ჩავიდა სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი.
- დაიწყო გადაფრენა მოსკოვი-ჩინეთი.

საჭიროა მიწათმოწყობის დაჩქარება

უნდა ითქვას, რომ მიწად-მოწყობის მუშაობა კუს ნაბიჯით მიმდინარეობს.

სენაკიდან გვწერს კორესპონდენტი, რომ მიწათმოწყობა იქ დამთავრებულია მხოლოდ ექვს სოფელში; მაზრა კი შეიცავს 178 სოფელს და მისი სივრცე უდრის დაახლოვებით 200.000 დესეტინას; ორი ტეხნიკოსის საშუალებით, რომელნიც მაზრის განკარგულებაში იმყოფებიან, მიწათმოწყობა მოთავდება არა უადრეს 40—55 წელზე.

გორიდან ამხ. ქურდაძის წერილი გვქონდა მოთავსებული კვირის №-ში, სადაც ავტორი მიწათმოწყობის დაჩქარების ამოცანას აყენებს მაზრისათვის პირველ რიგში.

ასე დგას საკითხი სხვა ადგილებშიც.

ასეთი მდგომარეობა იწვევს მრავალ გაუგებრობას სოფლად და აფერხებს გლეხური მეურნეობის აღორძინებას.

მაგ., დღეს ვათავსებთ კორესპონდენციას წალკის რაიონიდან (თბილისის მაზრა), საიდანაც სჩანს, რომ მიწის საკითხის მოუგვარებლობის ნიადაგზე გლეხები ერთმანეთზე არიან გადაკიდებული, აგრეთვე ჩამოვარდნილია უთანხმოება მომიჯნავე სოფლებს შორის; საქმე ხშირად შეტაკებამდეც მიდის და ადმინისტრაციას უხდება წესრიგის აღდგენა. აღსანიშნავია, რომ მიწის კომისია ბევრჯერ ყოფილა ამ რაიონში, მიწებიც გაუნაწილებია, მაგრამ საადგილ-მამულო ურთიერთობა მაინც არ არის მოგვარებული.

ასეთი შემთხვევები უეჭველად გამონაკლისია, მაგრამ საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ მიწათმოწყობის ჩაუტარებლობის გამო მდგომარეობა ბევრგან აწეწილ-დაწეწილია, ადგილი აქვს შეხლა-შემოხლას, დაუსრულებელ დავას.

პირველ რიგში საკითხი ეხება ამა თუ იმ სოფლის სარგებლობაში მყოფ მიწის შემოფარგვლას, მიწათსარგებლობის საზღვრების გავლებას მეზობელ და მოდავე სოფლებ შორის, ხოლო უმთავრესია თვით სოფლის ცალკე მეურნეთა მიწების განაცვლება-გადანაწილების და მათი ნამდვილი რაოდენობის გამორკვევა.

დაკრეფითი წესით მიწის რეფორმის ჩატარება არ შეიძლებოდა ამ მხრივ უნაკლო ყოფილიყო; მაშინ ამისათვის არც საკმაო დრო გვქონდა, არც სათანადო საშუალებები და ტეხნიკური ძალები გაგვაჩნდა. მიწათმოწყობის წესით უნდა იქნეს აცილებული მიწის რეფორმის შემდეგ შეჩნეული ნაკლულევანებანი და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს მიწათსარგებლობის ისეთი ფორმები, რომელნიც ხელს შეუწყობენ გლეხის მეურნეობის აღდგენას, სოციალისტური ელემენტების განვითარებას სასოფლო-მეურნეობაში.

ჩვენში გლეხის მეურნეობა მეტწილად დაქუცმაცებულია. მას ხშირად ერთი ნაჭერი ერთ ადგილას აქვს, მეორე შეჭრილია სხვის სარგებლობაში მყოფ მიწაში, მესამე კიდევ სადღაც შორსაა მიგდებული. ეს გარემოება ბორკავს გლეხის შრომის ნაყოფიერების გაზრდას, ასეთი მდგომარეობის დროს შეუძლებელია ლაპარაკი მნიშვნელოვან ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შეტანაზე მიწის დამუშავებაში, მით უმეტეს ტრაქტორების და სხვა რთულ მანქანების გამოყენებაზე.

ამასთან კიდევ არ არის გამორკვეული სისწორით, თუ ვის რამდენი მიწა გააჩნია.

მიწათმოწყობის მთავარი ამოცანა მდგომარეობს ამ დაქუცმაცებულ მეურნეობის მოსპობაში, მიწების ისე გადანაწილებაში, რომ თვითეულ მეურნეს ჰქონდეს მთლიანი მიწის ნაჭერი.

ამ ამოცანის შესრულება მეტად ძნელი საქმეა. მიწის ერთი ნაჭერი უფრო მაღალი ხარისხისაა, არის სამოსახლო, საბალახო, სათიბი, სატყეო ნაჭრები და სხ. ყველაფერი ეს უნდა იქნას მიღებული მხედველობაში მიწების გადანაწილების დროს.

ჩვენი მიზანია საერთო, კოლექტიური მიწასარგებლობის შემოღება. მაგრამ მიწათსარგებლობის ამა თუ იმ ფორმას იძულებით ვერ მოვახვევთ გლეხობას. ამას ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ. აქ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ დაჯერების მეთოდებით, კოლექტიური მიწათსარგებლობის უპირატესობის და სარგებლიანობის განმარტებით.

ამ მხრივ უდიდესი როლის შესრულება შეუძლიათ საბჭოთა მიწის მზომელს და აგრონომს. მიწადმოწყობა ხომ მათი ხელით უნდა იქნეს ჩატარებული. მიწისმზომელი თუ აგრონომი უბრალო მოხელე არ უნდა იყოს, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ოფიციალური მოვალეობის მოსახდელად. ისინი საზოგადო მოღვაწეებია, რომელთაც შეთვისებული აქვთ საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა და კიდეც შესწევთ უნარი მისი გატარებისათვის. ისინი გლეხობასთან უნდა იყვნენ დაახლოვებული, უნდა იცოდნენ, თუ როგორ უნდა მისდამი მიდგომა, უნდა იზიარებდნენ მის ჭირ-ვარამს. მიწათმოწყობის პროცესში ისინი უნდა შეეცადონ გლეხობის დარწმუნებას კოლექტიურ მიწათსარგებლობის გადასვლის საჭიროებაზე.

მიწათმოწყობის დროზე გასატარებლად საჭიროა მრავალრიცხოვანი შტატი სათანადოთ მომზადებულ პირების, პირველ ყოვლისა მიწისმზომელების. ჩვენ ასეთები ძალიან ცოტა გვყავს. სხვათა შორის, ამითაც აიხსნება მიწათმოწყობის დაგვიანება. ამხ. ქურდაძე სწერს: ხშირად გვითხოვნია—მოგვეცით მიწისმომწყობი, მაგრამ დღესაც უცდით როდის გამოგზავნიანო. მიწათმოქმედების კომისარიატი მაზრების მოთხოვნილებას ამ მხრივ ვერ აკმაყოფილებს, რადგან არ მოეპოვება სათანადო მუშაკები. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ზომა, რათა უახლოეს დროისათვის გვეყოლოს მიწისმომწყობთა საკმაო კადრი.

მეორე საკითხია საჭირო საშუალებათა გამონახვა. მიწისმომწყობთა შენახვა, თვით მიწათმოწყობის ჩატარებაც დიდ ხარჯებს მოითხოვს. სამისო თანხა არ გააჩნია მთავრობას. საბჭოთა საკავშირო მესამე ყრილობამ დაადგინა გადადებულ იქნას სამიწათმოწყობო სამუშაოების ხარჯების გასასტუმრებლად სამი მილიონი მან. ეს ფული მოხმარდეს მთელ კავშირის მასშტაბით გლეხობის უღარიბეს ნაწილს. ამასთანავე ყრილობამ დაადგინა— მიწათმომწყობა იქნეს დამთავრებული კავშირის ტერიტორიაზე ათი წლის განმავლობაში.

ცხადია, გადადებული თანხა მცირეა, მეტის გაღება შეუძლებელი იყო ქვეყნის დღევანდელი ფინანსიური მდგომარეობის დროს. მაგრამ გამოსავალს ჩვენ ვპოულობთ იმაში, რომ თვით მოსახლეობა კისრულობს ხარჯებს მიწათმოწყობისათვის. ამას ადასტურებს ამხ. ქურდაძეც თავის კორესპონდენციაში. მაშასადამე, დაბრკოლება ისევ მიწისმომწყობთა საკმაო კადრის უყოლობაშია.

დაბოლოს, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ შეუძლებელია მიწათმოწყობის წარმატებით განხორციელება და სოფლის საწარმოო ძალების სათანადოთ გაშლა, თუ სათანადო ცვლილებები არ იქნა შეტანილი მიწის კოდექსში. მისი ზოგიერთი მუხლი ჩამორჩა ცხოვრებას. საჭიროა მათი შეცვლა. თავის თავად ცხადია, რომ მიწაზე სახელმწიფო საკუთრების პრინციპი ურყევი და ხელუხლებელი დარჩება.

თემის ბიუჯეტის გარშემო

IV *)

წინა წერილში აღვნიშნეთ თემის საშემოსავლო წყაროები, მაგრამ ეს შემოსავალი, ეჭვს გარეშეა, ვერ დაფარავს თემის ხარჯებს. ამიტომ საჭიროდ შეიქნა სხვა წყაროების გამოძებნა.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც მიზნათ დაისახა სოფლის და გლეხკაცობის მდგომარეობის გაუმჯობესობა, აქაც დიდს დათმობაზე წავიდა და სახელმწიფოს შემოსავლიდან გამოჰყო საკმაო დიდი თანხა თემის საშუალებათა გასაძლიერებლად. ეს არის სასუბვენციო ფონდი.

დღემდის ადგილობრივ ორგანოს სახელმწიფო დახმარებას უწევდა დოტაციის სახით, მომავალ საბიუჯეტო წელშიკი გადაწყვეტილია სახელმწიფო დახმარების სუბვენციონური სისტემა.

დახმარების აღნიშნულ ორ სახეს შუა ის არსებითი განსხვავება არის, რომ სახელმწიფო დახმარებას დოტაციის სახით არავითარი დანიშნულება არა აქვს. ის მიდის ყოველგვარ შემოსავლის საერთო ჯამში და ნიშნობლივ რა საგანზედ იხარჯება წინასწარ არავინ იცის. სულ სხვა ბუნების დახმარება არის სუბვენცია. სუბვენცია არის სახელმწიფოს ნაწილობრივი მონაწილეობა ზოგიერთ იმ ხარჯებში, რომელსაც ეწევა ადგილობრივი ბიუჯეტი, მას აქვს დანიშნულება, მაგ. ამდენი და ამდენი უნდა დაიხარჯოს გზების შეკეთებაზე და არავის აქვს უფლება ამ თანხიდან [illegible] ნაწილი მოახმაროს სხვა რამეს, გარდა გზებისა. მაშასადამე, წინასწარ სახელმწიფო სწყვეტს რა და რა დარგი საზოგადოებრივი ცხოვრებისა უნდა ამაღლდეს და გამტკიცდეს და სუბვენციასაც სწორედ ამ მიმართულებას აძლევს, მას ეძლევა ის დანიშნულება, რომ მოხმარდეს სწორედ ამ დარგს და არა სხვა რამეს.

აი ასეთი დახმარება სახელმწიფოს მხრივ მომავალ საბიუჯეტო წელიწადში განზრახულია მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ სოფელს. ისიც გადაწყვეტილია, რომ ეს დახმარება გაღებულ იქნება მხოლოდ სასოფლო გზების, სოფლის სკოლების და სოფლის საავადმყოფოების შესაკეთებლად, აგრონომიულ პუნქტების მოსაწყობად და შესაბამისად საბჭოთა დაბალ ორგანოების (თემის აღმასკომების) ადმინისტრატიულ აპარატის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მაშასადამე, გარდა იმ საშემოსავლო წყაროებისა, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ წინა წერილებში, თემისავე მდგომარეობის გაუმჯობესებას მოხმარდება სახელმწიფო დახმარება სუბვენციის სახით.

ესეც შეიძლება ცოტა იყოს და ამანაც შეიძლება ვერ შექმნას თემისათვის მტკიცე ეკონომიური ბაზა, ამიტომ გადაწყვეტილია თვითეული მაზრის ფარგლებში ერთის მხრივ და რესპუბლიკის ფარგლებში მეორეს მხრივ შეიქმნას ეგრედ წოდებული გამთანასწორებელი, საექვალიზაციო ფონდი. მაზრის ფარგლებში გამთანასწორებელ ფონდის დანიშნულება არის დახმარება გაუწიოს მაზრისავე ფარგლებში არსებულ ეკონომიურად უძლურ თემებს, ხოლო რესპუბლიკურ გამთანასწორებელ ფონდიდან დახმარება მიეცემათ ეკონომიურად სუსტ მაზრებს. ამ შემთხვევაში დახმარებას ექნება დოტაციის სახე და ეს დახმარება წავა შემოსავლის საერთო ჯამში, თემის ან მაზრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ჩვენ ვფიქრობთ ეს გამთანასწორებელი ფონდი უნდა შეიქმნას შემდეგი საშემოსავლო წყაროებიდან: მაზრის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის 30 პროც.-იდან, [illegible] გადასახადის ანარიცხების 50 პროც.-ან და ამავე გადასახადის დამატებათა 10 პროცენტიდან. ეს წყაროები მოგვცემენ მთელს რესპუბლიკაში დაახლოვებით მილიონ მანეთს, რომელიც განაწილებულ უნდა იქნას უძლურ თემებს შორის. თავის თავად ცხადია, რომ შემოსავლის ამ წყაროების თემებისათვის გადაცემით სამაზრო ბიუჯეტს დააკლდება შემოსავალი და, მაშასადამე, ის ვეღარ დააკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომელნიც დაკისრებული აქვს მას. ამიტომ სამაზრო ბიუჯეტს უნდა მოეხსნას ყველა ის ხარჯები, რომელსაც თემისათვის მნიშვნელობა აქვს და თემს უფრო მიზანშეწონილად შეუძლია მისი დაკმაყოფილება, ვინემ მაზრას. მეორეს მხრივ ისეთ შემთხვევებში, როდესაც რომელიმე მაზრის ბიუჯეტი სისხლნაკლები ხდება საშემოსავლო წყაროების თემისათვის გადაცემის გამო, აქ მაზრას რესპუბლიკანური გამთანასწორებელი ფონდიდან ეძლევა დახმარება და თავის ნაკლს ამ ფონდიდან ისრულებს.

ყველა ზემოთ აღნიშნული ზომები, ვფიქრობთ, თემის ბიუჯეტს შეუქმნიდა მიზანშეწონილ არსებობის საფუძველს და მომავალ საბიუჯეტო წელიწადშივე თემი ეკონომიურად გამაგრდება.

მაგრამ თუ გვსურს თემის ბიუჯეტის შექმნა და გამაგრება, წინდაწინვე უნდა მიზნათ დავისახოთ, რომ თემის ბიუჯეტს არ დავაკისროთ გაზვიადებული უნაყოფო ხარჯები. არ უნდა გავაზვიადოთ შტატები და მოსამსახურეთა რაოდენობა, აუცილებელ საჭირო მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ საკანცელარიო, განათების, გათბობის და სხვა ამგვარი ხარჯები და მეტი გასაქანი მივსცეთ თემს აღმშენებლობითი და ნაყოფიერ მუშაობის წარმოებაში.

თუ ზემოთ აღნიშნული პირობები დაცული იქნება, თემის ბიუჯეტი გვექნება. არ ღირს თემის ბიუჯეტის შექმნა, თუ ის მარტო მოხელეთა ჯამაგირების გამცემ სალაროდ იქცევა. ამ პირობაში არ შეიძლება გამართლდეს საბჭოთა ხელისუფლების იმედი, რომელსაც იგი ისახავდა დაბალი უჯრედის ბიუჯეტის შექმნით.

თემის მცხოვრებთა თვითმოქმედებაში ჩვენ ვხედავთ სოფლის სკოლის და საავადმყოფოს უკეთესად მოწყობის საწინდარს. მარტო იმ ხალხს, რომელიც დაინტერესებულია სოფლის გზებში, აგრონომის ნაყოფიერ მუშაობაში, სოფლის მეურნეობის აღდგენაში და სხვა, შეუძლიან შექმნას საღი და კარგი ბიუჯეტი. სოფლის მოწყობა—სოფლის მცხოვრებთა საშუალებით,—აი თემის ბიუჯეტის მიზანი.

ვ. ხ—ლი.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 124.

ჩინეთის ამბები

ბრძოლა კანტონის მთავრობის წინააღმდეგ

ჩინეთის რკინისგზელთა მოწოდება ყველა ქვეყნის ტრანსპორტის მუშებისადმი

პერსელი იმპერიალისტების პოლიტიკის შესახებ ჩინეთში

ბრძოლა კანტონში

პეკინი, 9 ივნისი. მდგომარეობა კანტონში კვლავ ღებულობს აშკარა მტრული მოქმედების ხასიათს კანტონის მთავრობასა და იუნანის და ხუნანის პროვინციების ჯარებს შორის.

სუატსუდან კანტონის ჯარების დაბრუნების შემდეგ იუნანის სამხედრო ძალების სარდალმა კანტონში გენერალმა იანგ-ს ი-მინმა მოითხოვა კანტონის მთავრობისაგან, რომ მას ბრძანება მიეცა ჯარებისათვის შეჩერდენ და არ შემოვიდენ ქალაქში. კანტონის მთავრობამ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნილება, ხოლო იუნანის ჯარები შეიჭრენ ქალაქში. ამჟამად სწარმოებს ბრძოლა ამ ჯარებსა და კანტონის ჯარებს შორის.

საპროტესტო მიტინგი ტოკიოში

ტოკიო, 9 ივნისი. მასიური მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო აღმოსავლეთ იაპონიის მუშათა ორგანიზაციების მიერ შანხაიში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად, გარეკა პოლიციამ მანამდე, ვიდრე პირველი ორატორი მოასწრებდა ორიოდე სიტყვის თქმას. მიტინგზე აგროვებდენ შემოწირულებას შანხაის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ.

ჩინეთის ამბები წინ წასწევს საერთაშორისო მთლიანობის საქმეს

ლონდონი, 9 ივნისი. „დეილი გერალდ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს პერსელმა სასტიკად დაჰგმო მეთოდები, რომელთაც მიმართავენ ჩინეთში უცხოეთის სახელმწიფოები. პერსელი წინადადებას აძლევს ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარეს გრინს, საფრანგეთის შრომის კონფედერაციის მდივანს ჟუს და იტალიის კონფედერაციის ბელადს არაგონეს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები და მოახდინონ ზეგავლენა სათანადო მთავრობებზე, რათა შეწყვეტილ იქნეს მსოფლიო კაპიტალისტების შეარაღებული თავდასხმა ჩინეთის პროლეტარიატზე.

პერსელმა საუბრის დასასრულს განაცხადა, რომ ჩინეთის ამბები წინ წასწევს პროლეტარიატის საერთაშორისო მთლიანობის საქმეს.

ინგლისის მთავრობის თვალთმაქცობა

ლონდონი, 9 ივნისი. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მაკნეილმა, პასუხი გასცა რა შეკითხვებზე თემთა პალატაში, განაცხადა, რომ, არსებული ცნობების მიხედვით, ინგლისის წარმომადგენელი და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ჩინეთში მოქმედებენ სრული შეთანხმებით. ისინი იტყობინებიან, რომ პოლიციამ უდიდესი მოთმინება გამოიჩინა შანხაის „პოგრომშჩიკების“ მიმართ.

მაკნეილმა ხაზი გაუსვა, რომ წესრიგი შანხაის უცხოელთა უბანში აღდგენილი და დაცული უნდა იქნეს. მაკნეილმა სთქვა, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს თანაგრძნობა გამოუცხადოს ჩინეთის ხალხს მომხდარი ამბებისა და იმ მსხვერპლის გამო, რომელიც შედეგათ მოჰყვა ბოროტ აგიტაციას.

ჩინეთის რკინისგზელთა მოწოდება

პეკინი, 9 ივნისი. ჩინეთის რკინისგზელთა ფედერაციამ მიმართა მოწოდებით ტრანსპორტელების საერთაშორისო ფედერაციას. მოწოდება გაგზავნილია ფედერაციის თავმჯდომარის ვილიამსის და ფედერაციის გენერალურ მდივნის ედო ფიმენის სახელზე. მოწოდებაში ნათქვამია:

„საერთაშორისო იმპერიალიზმმა ჩამოიხსნა ნიღაბი და გადასწყვიტა იმოქმედოს აშკარად ავაზაკურად. ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობის გაფართოებამ, ჩინეთის პროლეტარიატის გამოფხიზლებამ, ძლიერმა საგაფიცვო მოძრაობამ დააფრთხო იმპერიალისტები. მათ ჰგონიათ, რომ არაჩვეულებრივის სიმკაცრით ჩაახშობენ რევოლიუციონურ მოძრაობას ჩინეთში. ყოველდღე შანხაიში მოდის სამხედრო გემები, რომ ინგლისის, ამერიკის, იაპონიის და იტალიის ჯარისკაცების ხელით ამოჟლიტონ ჩინეთის ხალხი, რომელსაც სწყურიან ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ჩვენ—ჩინეთის რკინისგზელები, მოგმართავთ თქვენ—მთელი მსოფლიოს ტრანსპორტის მუშებს. ჩინეთს კარს მიადგა საფრთხე. ხელები შორს ჩინეთისაგან! არ დაუშვათ იარაღების, სამხედრო მასალების და შეიარაღებულ ძალების გადმოზიდვა ჩინეთში. აუხსენით მთელი მსოფლიოს მუშებს, რომ იმპერიალისტები, რომლებიც ავიწროებენ და სძარცვავენ ჩინეთს, ამზადებენ მარყუჟს თავ-თავიანთ ქვეყნების პროლეტარიატის ჩასახშობად“.

ომი მაროკოში

პენლევეს გამგზავრება

პარიზი, 9 ივნისი. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე პენლევემ განაცხადა, რომ 9 ივნისს საღამოს ის მიემგზავრება ჰაეროპლანით მაროკოში.

პენლევეს განცხადება

პარიზი, 10 ივნისი. მაროკოში გამგზავრების წინ პენლევემ განაცხადა, რომ ის მიემგზავრება მაროკოში მარშალ ლიოტესთან სათათბიროთ და აგრეთვე ადგილობრივ მდგომარეობის გასაცნობათ. ის დარჩება მაროკოში 4 დღეს და ინახულებს ფრონტს.

ამერიკა ხელის მოთბობას აპირობს

პარიზი, 9 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ამერიკის ესკადრის ერთ-ერთი ნაღმოსანი, რომელიც იმყოფებოდა ევროპის წყლებში, მიადგა მაროკოს ნაპირებს.

გერმანიის გემების დაპატიმრება

პარიზი, 9 ივნისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ საფრანგეთის სამხედრო გემებმა გააჩერეს ტერიტორიალურ წყლებში აგადირის მახლობლად გერმანიის გემები „ლეიპციგი“ და „დორტმუნდ“-ი. ორივე გემი დააპატიმრეს და წაიყვანეს მოგადორის ნავთსადგურში.

საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ

პარიზი, 9 ივნისი. საგარანტიო ხელშეკრულების საკითხში ინგლისის და საფრანგეთის შეთანხმების გამო, ჰავასის სააგენტო განმარტავს, რომ საფრანგეთის და ინგლისის მთავრობების საერთო აზრით, **საგარანტიო ხელშეკრულება ძალაში უნდა შევიდეს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც გერმანია შევა ერთა ლიგაში.** საგარანტიო ხელშეკრულების დადება არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას გერმანიის ერთა ლიგაში შესვლისათვის, მაგრამ გერმანია მიღებული უნდა იქნეს ლიგაში მანამდე, სანამ საგარანტიო ხელშეკრულება ძალაში შევიდოდეს.

შინა-მრეწველობის განვითარებისათვის *)

ჩვენში საფაბრიკო-საქარხნო წარმოება სუსტადაა განვითარებული. ამიტომ, სანამ საქალაქო მრეწველობა განვითარდებოდეს, ჩვენს ქვეყანაში შინა-მრეწველობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიკისათვის და მას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. „შინა მრეწველობის განვითარებას ხელს უწყობს ჩვენში — სწერს თავის მოხსენებაში 6 წლიანი საპერსპექტივო გეგმის შესახებ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი,—ნედლი მასალის სიმრავლე, როგორიც, მაგ., მატყლი, აბრეშუმი, ტყავეულობა, ხე-ტყე, სამღებრო მცენარეულობა, თიხა, რქა, გიჯერი და სხვ.“, აგრეთვე მუშა-ხელის სიიაფე, დავსძენთ ჩვენ.

სამწუხაროდ, ეს მნიშვნელოვანი დარგი ჩვენი მეურნეობისა დღემდე თითქმის უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

შინა-მრეწველობის მძიმე მდგომარეობას უკანასკნელ ხანებში ყურადღება მიაქციეს საკავშირო სამეურნეო და საკანონმდებლო ორგანოებმა. ამ წ. 10 აპრილს საკავშირო ცაკის მიერ გამოიცა კანონი, რომლითაც სოფლის შინამრეწველთ და ხელოსნებს ენიჭებათ დიდი შეღავათები, ხოლო 12 მაისს იმავე ორგანოს მიერ გამოცემულ იქნა კანონი ქალაქის შინა-მრეწველთა და ხელოსნებისათვის ზოგიერთი საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ. გარდა ამისა საბჭოთა საკავშირო მესამე ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია შინამრეწველობის განვითარების საკითხს და თავის დადგენილებაში—გლეხობის მეურნეობის აღსადგენად და განსავითარებლად საჭირო ღონისძიებების შესახებ—აღნიშნა შემდეგი: „გარდა 10 აპრილის კანონში გათვალისწინებულ ზომებისა, საჭიროდ იქნას ცნობილი ხელოსნური და შინა-მრეწველობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად დამატებითი ღონისძიებათა გამომუშავება და მათთვის კრედიტის და საჭირო მასალათა მიწოდების საქმის მოწყობით. დამუშავდეს ზომები, რომელნიც წააქეზებენ მოწაფეებს იმ მიმართულებით, რომ მომავალში მეტი მოწაფე ჩაებას შინა-მრეწველობის საქმეში, ვინემ დღემდე იყო, აგრეთვე სახელოსნოების, სკოლების და სხვ. მოწყობით ხელი შეეწყოს ახალგაზრდა გლეხობის ტეხნიკურად მომზადებას“. აქედან აშკარაა, რომ ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს შინა-მრეწველობის განვითარების საქმეს.

ახლა განვიხილოთ 10 აპრილის და 12 მაისის კანონები. 10 აპრილის კანონით სოფლის შინა-მრეწველთა და ხელოსნებისათვის მიცემულია შემდეგი შეღავათები: ის შინა-მრეწველნი და ხელოსნები, რომელნიც არ სარგებლობენ დაქირავებული შრომით, თავისუფლდებიან სარეწაო გადასახადისაგან მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ მექანიკური მამოძრავებელი და განსაკუთრებული მოწყობილობა, ოჯახის წევრთა მონაწილეობა და ორი მოწაფე დაბეგვრის დროს სათვალავში არ მიიღება. თუ ხელოსნები და შინამრეწველები არ მოაწყობენ ცალკე სავაჭროს, მათ უფლება ენიჭებათ თავიანთი ნაწარმოები დაუბეგრავად გაასაღონ და სხვ.

12 მაისის კანონით ქალაქის შინა მრეწველნი და ხელოსნები, რომელნიც არ სარგებლობენ დაქირავებული შრომით (არის გამონაკლისები), იღებენ პირადი საქმიანობისათვის პირველი ხარისხის პატენტს. პირველი ორი მოწაფე მხედველობაში არ მიიღება. არის სხვა განსხვავებანიც, მაგრამ უმთავრესი უკვე აღვნიშნეთ.

ამ რიგად, ქალაქის შინამრეწველებზე და ხელოსნებზე არაა გავრცელებული ყველა ის შეღავათი, რაც სოფლისაზე. მაგრამ 10 აპრილის კანონის მე-8-ე მუხლი ამბობს: „საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს უფლება ეძლევა ამ დადგენილების მოქმედება საკავშირო რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით გაავრცელოს ცალკე ქალაქების მოსახლეობაზედაც“. სწორედ ეს მუხლი გამოყენებულ უნდა იქნას და მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომ ის შეღავათები, რომელიც სოფლის შინამრეწველებს და ხელოსნებს აქვთ მინიჭებული, გავრცელდეს ქალაქის შინა-მრეწველებზე და ხელოსნებზედაც. ამ წინადადებას საკმაო საფუძველი აქვს. უმთავრესი მოტივი სოფლის და ქალაქის შინა-მრეწველთა და ხელოსნებისათვის შეღავათებში განსხვავების დაწესებისა მდგომარეობს იმაში, რომ ქალაქში შინა-მრეწველობა ვითომ მეტ შემოსავალს იძლევა, ვინემ სოფელში, და ქალაქის შინა-მრეწველი ვითომ უფრო ძლიერია. ეს დებულება არ შეიძლება საფუძვლიანად ჩაითვალოს. როგორც ვიცით, შინა-მრეწველობას უმთავრესად დამხმარე ხასიათი აქვს. შინა-მრეწველ გლეხს აქვს თავისი ყანა, ჰყავს პირუტყვი, აქვს სახლკარი და სხვ. ეკონომიურად ის არ შეიძლება ჩაითვალოს ქალაქის შინამრეწველზე უფრო ღარიბად. გარდა ამისა ჩვენი ქალაქის შინა-მრეწველობა უმთავრესად სოფლის ბაზრისათვის მუშაობს. მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ის გარემოებაც, რომ ყველა ჩვენი ქალაქი, თბილისის, ქუთაისის, ბათომის და ფოთის გამოკლებით, სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის არის. არსად ისე საქალაქო მრეწველობა ფეხ-მოკიდებული რუსეთში (ან უკუთრებით ცენტრალურ რუსეთში) შინა-მრეწველობა გაცილებით უფრო განვითარებულია, ვინემ ჩვენში და საგრძნობლად განსხვავდება თავისი ფორმით და შინაარსით ჩვენი შინა მრეწველობისაგან. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქალაქის და სოფლის შინა-მრეწველნი დაახლოვებით ერთგვარი შეძლებისა არიან ნივთიერად.

ამიტომ 10 აპრილის კანონი აუცილებლად უნდა გავრცელებულ იქნას ქალაქის შინა-მრეწველებზე და ხელოსნებზე. ეს ხელს შეუწყობს შინა-მრეწველობის განვითარებას, გამოიწვევს ჩვენი მეურნეობის პროდუქციის ზრდას, მოწაფეთა წარმოებაში ჩაბმას, რაც ერთის მხრივ ცოტათი მაინც შეამცირებს უმუშევრობას, ხოლო მეორე მხრივ ხელს შეუწყობს კვალიფიციური მუშაკების მომზადებას.

გარდა ამისა აუცილებლად საჭიროა და დროული შინა-მრეწველთა და ხელოსანთა კოოპერატიულად შეკავშირება*). ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და საღდეისო საკითხად უნდა იქნეს აღიარებული სათანადო უწყება დაწესებულების მიერ.

ა. ს—უა.

---

*) წერილის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია 10 აპრილის კანონის ქალაქის შინა-მრეწველობისა და ხელოსნებზე გავრცელების შესახებ, მიდის კამათის წესით. რედ.

*) ამაზე უკვე გვქონდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში ო. კ. პ. ა/კ. საოლქო კომიტეტის დადგენილება. რედ.

უკანასკნელი ცნობები

ნავთსადენების გაყვანის საკითხი.

მოსკოვი, 10 ივნისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ 5 ივნისის სხდომაზე დაწვრილებით განიხილა სახელმწიფო საგეგმო კომისიის პროექტი შავი ზღვის ნავთსადგურებისაკენ ნავთსადენების გაყვანის შესახებ.

პროექტით გათვალისწინებულია ორი ნავთსადენის გაყვანა გროზნო-ტუაპსესა და ბაქო-ბათომის მიმართულებით.

ამ პროექტმა გამოიწვია წინააღმდეგობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლობის მხრივ, რომელიც მოითხოვდა დროებით ღიათ დაეტოვებიათ გროზნო-ტუაპსეს ვარიანტი და გამოკვლევა ეწარმოებიათ ფოთის მიმართულებით, რადგანაც ეს მიმართულება გააიაფებდა ნავთსადენის გაყვანას დაახლოვებით 25 პროცენტით.

ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობა აღნიშნავდა, რომ ტუაპსის ნავთსადგური მოითხოვს დიდ ხარჯებს მის მოსაწყობად ნავთის გატანისათვის.

პროექტს კრიტიკა გაუკეთა აგრეთვე ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი არ ეთანხმება ჩვენი ნავთის მრეწველობის განვითარებას, რადგანაც 4 წლის შემდეგ დამუშავებულ ნავთის ნაწარმოებთა რაოდენობა ბევრად უფრო მცირე იქნება, და იგი ვერ აავსებს ახალ ნავთსადენთ.

კამათის დასასრულ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ცურიუპამ განაცხადა, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაწვრილებით განიხილა ყველა გარემოებანი, რომელნიც აღნიშნეს ფინსახკომისა და ამიერ-კავკასიის მთავრობის წარმომადგენლებმა და შემდეგ სახელმწიფო საგეგმო კომისია შეჩერდა იმ პროექტზე, რომელიც ამჟამად შეტანილია შრომისა და თავდაცვის საბჭოში. შრომისა და თავდაცვის საბჭომ აღიარა, რომ გადაწყვეტა სატრანსპორტო საკითხისა ნავთის ნაწარმოებთა გატანის საქმეში ბაქოდან და გროზნოდან შავი ზღვისაკენ ნავთსადენების გაყვანის გზით ეკონომიურად მიზანშეწონილია და თავისდროული, ამასთანავე გროზნოს ნავთის კომიტეტის მიერ შემუშავებული წინასწარი პროექტი გროზნო-ტუაპსის ნავთსადენისა შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა და ნება დართო შეუდგენ მის კეთებას. ამ ნავთსადენის გაყვანის მუშაობა უნდა დასრულდეს დაახლოვებით 1927—1928 წ. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა აგრეთვე „აზნეფტის“ პროექტის წინასწარი გეგმა ბაქო-ბათომის ნავთსადენისა, რომელიც გაყვანილ უნდა იქნეს არსებული ნავთსადენის მიმართულებით; პირველ რიგში ამ ნავთსადენის გაყვანა უნდა მოხდეს ბათომ-ხაშურის ხაზზე.

სესხი ავსტრიას

ვენა, 9 ივნისი. ერთა ლიგის საბჭომ დაადგინა მისცეს ავსტრიის მთავრობას რკინის გზათა ელექტროფიკაციისათვის 88 მილიონი ოქროს კრონა გაჯანსაღების კრედიტის ნაშთებიდან.

რუმინელ კომუნისტების პროცესი

ვენა, 9 ივნისი. ბრალდებულთა ერთი ნაწილის გაქცევის შემდეგ, ბუქარესტის სასამართლო სცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა დაასრულოს კომუნისტების პროცესი.

სამხედრო პროკურორმა წარმოსთქვა საბრალმდებლო სიტყვა, სადაც აღნიშნა, რომ ბრალდებულნი, თითქოს მუშაობდენ პროფკავშირებში და ნამდვილად კი სცდილობდენ კომუნისტურ პროპაგანდის გაწევას სახელმწიფოში ანარქიის გამოსაწვევად. პროკურორმა აღიარა, რომ საბჭოთა მთავრობა და კომინტერნი არ არის ერთგვარი ორგანიზაციები, მაგრამ მათი მოღვაწეობა კი მჭიდროდ არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული.

დამცველები აღნიშნავენ, რომ საბრალმდებლო ოქმი სავსებით დამყარებულია „ოხრანკის“ მიერ შეთხზულ ცნობებზე და ბრალდებულთა ერთი ნაწილის განცხადებაზე, რომელთაც აიძულეს არასწორი ცნობები მიეცათ. დამცველები მოითხოვენ ბრალდებულთა სრულ გამართლებას. განაჩენს მოელიან შემდეგ სხდომაზე.

ემიგრანტების თავხედობა

ვარშავა, 9 ივნისი. 6 ივნისს, ღამის 2 საათზე მთვრალი ემიგრანტების ბანდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლიციის შეიარაღებული მოხელე ნომირი, შეიჭრა სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაში; როგორც სჩანს, ბანდას სურდა შიგა ოთახებში შეჭრა.

სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მორიგმა თანამშრომლებმა შეაჩერეს ბანდა, მაგრამ მათ უარი განაცხადეს შენობის დატოვებაზე; ისინი საშინლად ხმაურობდენ და თანამშრომლებს ქუჩური ენით ლანძღავდენ.

ვინაიდან ბანდა არ წყნარდებოდა, ერთ ერთმა თანამშრომელმა გაისროლა ტყვია ჰაერში, რის შემდეგაც ბანდა დაიშალა.

სრულუფლებიან წარმომადგენლობის მრჩეველმა ბესტოვსკიმ ინახულა საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ დეპარტამენტის დირექტორი ბადერი, განაცხადა სასტიკი პროტესტი და მოითხოვა დამნაშავეთა დასჯა.

ბადერმა მწუხარება გამოსთქვა და დაპირდა ბესოდოვსკის, რომ სასტიკად დასჯიან თავდამსხმელებს.

კანადის პრემიერის განცხადება

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. კანადის პრემიერმა განაცხადა, რომ კანადა მონაწილეობას არ ღებულობს შეთანხმებაში, რომელიც რეინის საზღვრების ხელშეუხებლობას ეხება.

ინდოეთის ტრედუნიონებში

ლონდონი, 9 ივნისი. 8 ივნისს დასრულდა სესია ინდოეთის ტრედუნიონების კონგრესის აღმასკომისა. თათბირზე მონაწილეობას იღებდენ 24 კავშირის წარმომადგენლები.

მიიღეს რეზოლიუცია ინდოეთში ნორმალური სამუშაო დღის დაცვის შესახებ. თავმჯდომარე ანდრიუსს დაევალა გაეცნოს გაფიცვის მდგომარეობას ჩრდილო-დასავლეთის რკინის გზაზე, თუმცა მთავრობამ განაცხადა, რომ ყოველგვარი „საგამომძიებლო კომისია არასასურველია“.

ინდოეთის ტრედუნიონთა კონგრესი აერთიანებს 38 კავშირს, 90.000 მუშას.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 10 ივნისი. ლანსბერი შეეკითხა შინაგან საქმეთა მინისტრს ხიგსს, მომავალშიაც აკრძალული ექნებათ თუ არა ინგლისში შესვლა უცხოელებს, რომელთაც სურთ დაესწრონ კომუნისტების ან სხვა სოციალისტების კონფერენციას.

ხიგსმა უპასუხა, რომ ლანსბერის, ალბად მხედველობაში ჰყავს უცხოელი კომუნისტები, რომელთაც უნდოდათ ინგლისში ჩასვლა და კომპარტიის ყრილობაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ამის საშუალება მათ არ მიეცათ. დღემდის მთავრობის ეს განკარგულება გავრცელდა მხოლოდ ერთ შემთხვევაზე, მაგრამ თვით ეს განკარგულება გამოხატავს მთავრობის საერთო პოლიტიკას.

ლიბერალმა კენვორტიმ იკითხა: „რა აზრი აქვს ასეთ პოლიტიკას, თუ თქვენ მაინც არ შეგიძლიათ ხელი შეუშალოთ კომუნისტების შემოსვლას ინგლისში“.

ხიგსმა უპასუხა: „მე სრულიადაც არა ვარ დარწმუნებული, რომ არ შემიძლია ხელი შევუშალო მათ. ერთ-ერთი გამოჩენილი კომუნისტი, რომელიც მოდიოდა ბერლინიდან, არ ყოფილა შემოშვებული, სხვებიც აგრეთვე იყვნენ დაკავებული“.

ლანსბერიმ ჰკითხა: „არის თუ არა კომუნიზმის პროპაგანდა არაკანონიერი პროპაგანდა.“

ხიგსმა უპასუხა: „ეს რომ ასე ყოფილიყო, ლანსბერიც დაპატიმრებული იქნებოდა“.

მუშათა პარტიის დეპუტატმა ჯექსონმა ჰკითხა, მიიღებს თუ არა მინისტრი ასეთსავე ზომებს რეაქციონულ სახელმწიფოებიდან ჩამოსულ პირების წინააღმდეგ.

პალატის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ ასეთი საკითხი არ წამოჭრილა.

ლანსბერიმ ჰკითხა მაშინ: **„რა მიზეზით არ ვრცელდება კომუნისტების წინააღმდეგ მიმართული ზომები მონარქისტებზე. მაგ. პორტუგალიის მონარქისტებზე, რომელნიც ინგლისში სცხოვრობენ“.**

ლანსბერის შეკითხვის მეორე ნახევარი დაფარული იყო ყვირილით მინისტრთა სავარძლებზე.

როდესაც თავმჯდომარემ მოუწოდა მას წესრიგისაკენ, ლანსბერიმ დაიძახა: „თქვენ არა გაქვთ უფლება ამიკრძალოთ ასეთი შეკითხვების მიცემა. მე უფლება მაქვს მივცე ასეთი შეკითხვები“.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ საკითხის შემდეგი განხილვა პალატაში არ შეიძლება ჩაითვალოს შესაძლებლად.

ლანსბერიმ დაიძახა: „მინისტრს, როგორც სჩანს, არ ჰყოფნის გამბედაობა უპასუხოს ასეთ შეკითხვაზე, რადგან ყოველთვის გაურბის ის პასუხის გაცემას.“

კომუნისტი

ხელისმომწერლებს დღევანდელ ნომერთან ერთად ურიგდებათ ლიტერატურული დამატება

„ჩირაღდანი“ № 10

იუმორისტული განყოფილებით—

„ეშმაკის მახე“

რა ხდება უცხოეთში.

კაპიტალისტური ყვლეფის სურათები

ვაჭრობა ქალის რძით.

ქ. დეტროიტში (მიჩიგანის შტატი, ამერიკა) კომერციულ ნიადაგზე დაყენებული ვაჭრობა ქალის რძით ქალებს, რომლებიც გაყიდიან რძეს ეძებენ გაზეთებში განცხადებების საშვალებით. რძე იყიდება 10 ცენტათ (ცენტი 2 კაპ. ოქროთი) უნცი, გარდა იმ ხარჯების ანაზღაურებისა, რომელიც საჭიროა რძის განმანაწილებელზე მოსვლისათვის. რძით მოვაჭრე ქალებს სინჯავენ ექიმები (არკვევენ ხომ არ არიან ისინი ავათ ჭლექით ან სიფილისით) და ისინი უნდა აკმაყოფილებდენ შემდეგ მოთხოვნილებებს: სისუფთავე როგორც პირადი, ისე ბინაზე, საკუთარი ბავშის კვება 8 თვის განმავლობაში, რძის მიცემა ორჯერ მაინც დღეში არანაკლებ 16 უნციისა. განმანაწილებელში მოწყობილია ელექტრონის საწველი ნანქანა.

სისხლით მოვაჭრე სტუდენტები.

შეერთებული შტატების ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტები ლუკმა პურს შოულობენ იმით, რომ ყიდიან თავის სისხლს იმ პირებზე, რომლებიც საჭიროებენ სისხლის გადმოსხმას. 300 გრამ სისხლში (სამი მეოთხედი გირვანქა) ეძლევათ 30 მანეთი. სისხლით მოვაჭრე სტუდენტთა რიცხვი აღწევს 150-დი.

„მიწადმოწყობა“ ინგლისურად.

ინგლისის ახალშენში კენია (აღმოსავლეთ აფრიკა) ძლიერ ნოყიერი ნიადაგია და მომავალში ეს კოლონია ნედლი მასალის უდიდესი მიმწოდებლად შეიქნება. ამის გამო ახალშენში დაიწყო ზღაპრული სპეკულიაცია მიწებით. ინგლისელები ახალშენში შეადგენენ 9651 სულს, ადგილობრივი მცხოვრებლები კი—276.000. ინგლისელებს ეკუთვნის მიწების ნახევარი და დანარჩენ მეორე ნახევარსაც ყოველგვარი საშვალებებით ართმევენ ადგილობრივ მოსახლეობას. ცალკე პირებს, მაგალითად ინგლისის საკანონმდებლო კრების წევრს ლორდ დილემერს ეკუთვნის ნაკვეთები 200.000 აკრი სივრცით (70.000 დესეტინამდე). ამ მიწებს კოლონიის ადმინისტრაცია ყიდდა ზღაპრულათ იაფ ფასებში—შილინგათ აკრს (მანეთი და ხუთი შაური დესეტინაში), სპეკულიანტი ლორდები კი შემდეგ ამ მიწებს ყიდდენ 250 მანეთად დესეტინას და მილიონები შეიძინეს მიწებით სპეკულიაციაზე.

ამ „მიწადმოწყობის“ შედეგია ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მონურ მდგომარეობაში ვარდება. საკმაოა ამისათვის ცნობა, რომ ადგილობრივი მუშების თვიური საშუალო ხელფასი უდრის 3 მ. 80 კაპეიკს.

მაგრამ, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის პროლეტარიზაცია არ სწარმოებს ისე სწრაფად, როგორც ეს ინგლისელ მყლეფელებს სურთ, მთავრობას განზრახული აქვს შემოიღოს ადგილობრივი გლეხებისათვის „შრომის ბეგარა“. ეს „შრომის ბეგარა“ გამოიხატება ყოველწლიურ სავალდებულო მუშაობაში (სამი თვის განმავლობაში) რკინისგზების გაყვანის დროს და სხვა.

სხვა და სხვა ამბები

— **„ფლოტის კვირეული“ პოლონეთში.** ვარშავაში დაიწყო „ფლოტის კვირეული“, გროვდება შემოწირულებანი „პოლონეთის ფლოტის“ შესაქმნელათ.

— **დიპლომატიური სტუმრობა.** ათინაში ჩავიდა სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი მარკოვიჩი.

— **განაჩენი ლისტეკის მკვლელობის საქმის გამო.** 8 კაცს, რომლებსაც ბრალათ ედებათ ეგვიპტეში ინგლისის ჯარების მთავარ-სარდლის გენერალ ლი-სტეკის მოკვლა, ქაირის სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

— **გადატრიალება კუნძულ სამოსზე.** კუნძულ სამოსზე (საბერძნეთს ეკუთვნის, ეგეის ზღვაზე) ძმებმა აიასებმა რამდენიმე ათეული კაცის დახმარებით გადატრიალება მოახდინეს. საბერძნეთის მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ ეს ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს ინტრიგების შედეგია.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

150 პროცენტით

ასტრახანი, 10 ივნისი. გაზაფხულზე ასტრახანის თევზის სარეწავებზე დაჭერილი იქნა 14 მილ. ფუთი თევზი, რაც ერთნახევარჯერ აღემატება ნორმალურ რაოდენობას.

ნიაღვარის შედეგები როსტოვში

დონის-როსტოვი, 10 ივნისი. უკანასკნელი ნიაღვარის დროს როსტოვში ჩამოინგრა 20-დე სახლი.

შეღავათი ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე გასაგზავნ ტვირთებისათვის

მოსკოვი, 10 ივნისი. გზათა სახალხო კომისარიატმა დააწესა შეღავათიანი ტარიფი იმ ტვირთებისათვის, რომლებიც ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე იგზავნება; ტარიფი ძალაში იქნება 15 ივნისიდან 15 სეკტემბრამდე.

მეტი ყურადღება გლეხობას.

მოსკოვი, 10 ივნისი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა განკარგულება დაუგზავნა ადგილებს, რომ ამ უკანასკნელებმა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ვადები არ დააწესონ იმ დროისათვის, როდესაც დაწესებულია სათესლე სესხის გადახდის ვადები.

ჩრდილოეთ-კავკასია

რადიო-სადგური გროზნაში.

გროზნა, 10 ივნისი. დამთავრდა მძლავრი რადიო-სადგურის აგება, რომელიც გადამცემი პუნქტი იქნება მოსკოვ-თბილისის ხაზზე.

უკრაინა

კიევის ჯაშუშებმა გაასაჩივრეს განაჩენი.

კიევი, 10 ივნისი. ყველა ბრალდებულებმა, გარდა ბელავინისა და სტანისლავა კრუჟკოვსკაიასი, გაასაჩივრეს სასამართლოს განაჩენი. ამის გამო საქმე გადაიგზავნა ხარკოვში. ნინა კრუჟკოვსკაიამ და ივანოვმა შუამდგომლობა აღძრეს სრულიად უკრაინის ცაკის წინაშე შეწყნარების შესახებ. ბელავინს არ აღუძრავს არც საკასაციო საჩივარი და არც შუამდგომლობა შეწყნარების შესახებ.

განაჩენის სისრულეში მოყვანა შეჩერებულია.

კიევი, 10 ივნისი. სამხედრო ტრიბუნალმა მიიღო სრულიად უკრაინის ცაკის თავმჯდომარის პეტროვსკის მიერ ხელმოწერილი დეპეშა შეაჩერონ განაჩენის სისრულეში მოყვანა ბელავინზე, ნინა კრუჟკოვსკაიაზე და ივანოვზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობის შედეგები

მოსკოვი, 10 ივნისი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობამ მიიღო ამხ. რიკოვის მოხსენების გამო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ის ესალმება მთავრობის გადაწყვეტილებას—გადიდებული იქნეს თანხების გაღება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საჭიროებისათვის, გაიაფებული იქნეს კრედიტი და გაგრძელებული იქნეს მისი ვადა. ყრილობამ საგლეხო მეურნეობის კოოპერატიულ ფორმების განვითარებისათვის საჭიროდ მიიჩნია, რომ სახელმწიფო მრეწველობის ორგანოების და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო პოლიტიკა შეფარდებული იქნეს კოოპერატიული მუშაობის პირობებთან სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

საბოლოო სიტყვით კრებაზე გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე სადირინი რომელიც დაწვრილებით შეჩერდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების პერსპექტივაზე. მან სთქვა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამოცანას წარმოადგენს უცხოეთის ბაზარზე გამოსვლა. საბაზრო საქონლის დამზადების გასაძლიერებლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ ხელი უნდა შეუწყოს გლეხობას მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ ფორმებზე გადასვლაში, სპეციალურ ტეხნიკურ კულტურების განვითარებაში, აგრეთვე მესაქონლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

პირველ ყოვლისა უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების, იარაღების და ინვენტარის წარმოების გაფართოებას და მათ მიწოდებას სოფლისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ ხელი უნდა შეუწყოს საგლეხო მეურნეობის პროდუქციის ღირსების ამაღლებას, მან დახმარება უნდა აღმოუჩინოს სოფლის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ღარიბ წრეებს, რომლებთაც სურთ მუშაობა, მაგრამ არ გააჩნიათ საჭირო საწარმოო საშუალებები

გადაფრენა მოსკოვი-ჩინეთი

ექსპედიციის შემადგენლობა

მოსკოვი, 10 ივნისი. საჰაერო ექსპედიციის ხელმძღვანელათ დანიშნულია შმიდტი, მფრინავები არიან ვოლკოვი, ვოინოვი, გრომოვი, სკატოვი, ნაიდენოვი, პოლიაკოვი, ტომაშევსკი.

მგზავრების სახით მიფრინავენ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს, „პრავდა“-ს, „იზვესტია“-ს „ლენინგრადსკაია პრავდა“-ს და სამხედრო პრესის წარმომადგენლები და პროლეტკინოს ორი კინო-ოპერატორი.

ამხ. რიკოვი გადაფრენის მნიშვნელობის შესახებ

მოსკოვი, 10 ივნისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. რიკოვმა გადაფრენის შესახებ განაცხადა შემდეგი:

გადაფრენა, რომელსაც აწყობს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი და აღმოსავლეთის ურთიერთობის თვალსაზრისით; ამასთანავე ეს გადაფრენა საკმაო სიძნელეს შეიცავს ტეხნიკური პირობების გამო. საჰაერო ექსპედიციას, რომელშიაც მონაწილეობას იღებს 4 საბჭოთა და ორი საზღვარგარეთელი კონსტრუქციის ჰაეროპლანი, რამოდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს.

პირველი—ეს გადაფრენა არის საბჭოთა კავშირის მშრომელების და მონღოლეთის და ჩინეთის ერების ძმური კავშირის განმტკიცების ნიშანი.

მეორე—ეს გადაფრენა იქნება საუკეთესო სასინჯი გადაფრენა ჩვენი მფრინავებისათვის და ჩვენი ავიომრეწველობის მიღწევათა თვალსაჩინო შემოწმება. უკანასკნელი წლის განმავლობაში საფრანგეთმა, ინგლისმა და იტალიამ მოაწყვეს რამოდენიმე დიდი გადაფრენა, რომლებიც ცოტათ თუ ბევრათ წარმატებით დამთავრდა. ჩვენს მფრინავებსაც შეუძლიათ აგრეთვე იამაყონ ისეთი მიღწევებით, როგორიც არის ბაქო-თეირანის და თერმეზ-ქაბულის გადაფრენა. ეხლა ჩვენ ვიწყებთ დიდ გადაფრენას—მონღოლეთში და ჩინეთში, რომელიც დაკავშირებულია კიდევ უფრო მეტ სიძნელესთან.

გადაჭარბებული არ იქნება—დაამთავრა რიკოვმა—თუ ვიტყვით, რომ მთელმა საბჭოთა ქვეყანამ თვალყური უნდა ადევნოს გადაფრენას, რომელიც განამტკიცებს მეგობრობას საბჭოთა კავშირის მშრომელებსა და მონღოლეთის და ჩინეთის ერებს შორის“.

ექსპედიციის პერსპექტივები

საუბარი ექსპედიციის უფროსთან

მოსკოვი, 10 ივნისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ექსპედიციის უფროსმა შმიდტმა განაცხადა:

„ჩვენი გადაფრენის მიზანია – უპირველეს ყოვლისა ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ ჩინეთის ხალხს ჩვენი განსაკუთრებული სიმპატიები მისდამი. ჩვენი ამოცანაა—ჩინეთის სათანადო დაწესებულებასთან ერთად მოვაწყოთ შერეული საჰაერო საზოგადოება.

თუ ჩვენ ეს მოვახერხეთ, მაშინ მოწყობილი იქნება ერთიანი საჰაერო ხაზი ევროპა-საბჭოთა კავშირი—ჩინეთი, რომელსაც 60 პროც. შეამცირებს მგზავრობის დროს ევროპიდან ჩინეთში.

ჩვენ მივფრინავთ ჰაეროპლანებზე და მოტორებზე, რომლებიც დამზადებულია ჩვენს ქარხნებში და ჩვენი მასალებიდან. პრაქტიკულად ჩვენ სამი დაბრკოლება გვეღობება წინ: ჩვენ არ ვიცნობთ მძიმე და სახიფათო გზას, ჩვენს ჰაეროპლანებს და მოტორებს არა აქვთ ხანგრძლივი, შემოწმებული სტაჟი და ჩვენი ექსპედიციის შემადგენლობა არ იცნობს ამ გზას. მაგრამ ჩვენ გვაქვს გამბედაობა, სიმამაცე და ჩვენი წითელი მფრინავების ბრწყინვალე თვისებები, რომლებიც საკმაოთ გამოცდილი და შემოწმებული იქნა სამოქალაქო ომში და რევოლიუციაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ავიომრეწველობა დაიჭერს მძიმე გამოცდას.

გადაფრენის მონაწილეთა გაცილება

მოსკოვი, 10 ივნისი. 9 ივნისს სახელმწიფო ავიოქარხნის კლუბში გაიმართა გადაფრენის მონაწილეთა საზეიმო გაცილება. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ საბჭოთა კავშირის ავიოქიმის პრეზიდიუმის წევრი მუკლევიჩი, ავიოქიმიის წარმომადგენელი მეხონოშინი, ავიოტრესტის წარმომადგენელი პანკრატოვი და სხვები.

საპასუხო მისალმებით გამოვიდა გადაფრენის ხელმძღვანელი შმიდტი. მან სთქვა: „მართალია ჩვენ მრავალი დაბრკოლებები გვეღობება წინ, მაგრამ ჩვენ გვაქვს ბოლშევიკური სითამამე გადავფრინდეთ ჩინეთში, დიდ ასმილიონიან ხალხთან, რომელიც მეტად უწყოა ტეხნიკურათ“.

დასასრულ ექსპედიციის მონაწილეებს ძღვნათ მიართვეს საათი, როგორც სიმტკიცის ემბლემა.

პურის დამზადება

მოსკოვი. 10 ივნისი. „ცენტროსოიუზში“ გამართულ თათბირზე პურის დამზადების შესახებ მოსმენილ იქნა ცენტროკავშირის პრეზიდიუმის წევრის რიკოვის მოხსენება სამომხმარებლო კოოპერაციის პურის დამზადების ოპერაციების შესახებ მიმდინარე წელს.

სამომხმარებლო კოოპერაციის პურის დამზადების გეგმაში ნავარაუდევია 100 მილიონი ფუთი, აქედან 60 მილიონი ფუთი გაიგზავნება ადგილებზე, 66 მილიონი ფუთი გადაეცემა ცენტროკავშირს, 20 მილიონი ფუთი [illegible] რაიონებს, 20 მილიონი ფუთი—ექსპორტისათვის.

მატარებლის დამტვრევა მოსკოვ-ჩიტას შორის

მოსკოვი, 10 ივნისი. გზათა სახ. კომისარმა მიიღო დაწვრილებითი ცნობები მოსკოვ-ჩიტას ხაზზე მატარებლის დამსხვრევის შესახებ.

მარცხი მოხდა 7 ივნისს ღამით. მგზავრები უვნებლად გადარჩენ, მხოლოდ 3 კაცი მსუბუქად დაიჭრა. დაშავდენ მატარებლის მოსამსახურეები. დაიხოცენ: საფოსტო ვაგონის უფროსი კორესპონდენტი გლუშკოვი, რესტორანის მზარეული უკონიანი და ერთი უპატრონო ბავშვი, რომელიც აღმოჩნდა მატარებლის კუთხის ყუთში. მძიმედ დაჭრილი არიან საბარგო ვაგონის არტელჩიკი ლასკოვი და ფოსტის უნცროსი კორესპონდენტი პიჟელინი. მცირეოდნად დაშავდენ მემანქანე, მისი თანაშემწე, საფოსტო ვაგონის მსახური, ჩრდილოეთის რკინის გზების საბარგო ვაგონის მოსამსახურე, მზარეულის თანაშემწე, ბუფეტის ოფიციანტი; ყველა დაზარალებულნი წაიყვანეს ნოვონიკოლაევის რკინისგზის საავადმყოფოში.

მსხვრევის ადგილზე ლიანდაგი დაზიანებულია 35 საჟენის მანძილზე. კატასტროფის მიზეზი ჯერ არ არის გამორკვეული.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი.

მანუფაქტურა გლეხებისათვის

ბათომი, 9 ივნისი. ცეკავშირმა მიიღო მოსკოვიდან 8,000 მეტრი ნარმა, რომელიც იგზავნება მაზრებში გლეხებისათვის დასარიგებლად.

ცინკის ქარხანაში.

ბათომი, 9 ივნისი. ცინკის სახელმწიფო ქარხანამ მაისის განმავლობაში გამოუშვა 1,655 ფუთი ცინკგადაკრული ნაწარმოები, ღირებული 13,000 მანეთად.

წითელი გვარდია.

ბათომი, 9 ივნისი. ნავთსადგურის სახელოსნოებში დამთავრდა მშველელი გემის „წითელი გვარდია“-ს შეკეთება. გემი გამოყენებული იქნება ბათომის ნავთსადგურისათვის.

საქონლის შესყიდვა ყუბანში.

ბათომი, 9 ივნისი. აჭარისტანის სავაჭრო-სამრეწველო სახალხო კომისარიატმა შეისყიდა ყუბანში 120 სული მსხვილფეხა საქონელი სახორცედ.

სომხეთი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ერევანი, 9 ივნისი. მთელს სომხეთში დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრავ საგნების აღრიცხვა.

კრედიტი კოოპერაციას.

ერივანი, 9 ივნისი. ა|კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მისცა სომხეთის სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას კრედიტის სახით 270,000 მანეთი.

ნათესების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

1-ლი ივნისისათვის

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობებით, გასული მაისის პირველი ნახევარი ხასიათდებოდა ნათელი, მხიანი და მშრალი დღეების სიმრავლით.

მაისის მეორე ნახევარი ხასიათდება ამინდის ცვალებადობით, რომელსაც თან სდევდა ჭექა-ქუხილი, ქარიშხალი, სეტყვა, ზოგიერთ ძლიერ ადგილებში კი (ახალ-ბაიაზეთის მაზრა, სომხეთში) თოვლიც.

საერთოდ ამ ხნის განმავლობაში ნამი საკმაო იყო საქართველოში და სომხეთში, მაგრამ შედარებით ნაკლები აზერბეიჯანში.

ამრიგად, ამინდი მაისის განმავლობაში არახელსაყრელი იყო აზერბეიჯანის და საქართველოს ნათესებისათვის და შედარებით ხელსაყრელი სომხეთში.

ვინაიდან შემოდგომის ნათესების ძირითადი მასა მოდის აზერბეიჯანზე და აღმოსავლეთ საქართველოზე, სადაც ამინდი ხელსაყრელი არ იყო, ამიტომ, ბუნებრივია, რომ შემოდგომის ნათესების მდგომარეობის გაუმჯობესებამ ამიერ-კავკასიის ამ ნაწილებში შემამცირებელი გავლენა მოახდინა შემოდგომის ნათესების საერთო მდგომარეობაზე მთელს ამიერ-კავკასიაში.

შემოდგომის ნათესების მდგომარეობა 1-ლი ივნისისათვის ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: შემოდგომის პური—2,8, შემოდგომის ქერი—2,8.

ცალკე რესპუბლიკებში შემოდგომის ნათესების მდგომარეობა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: აზერბეიჯანი—შემოდგომის პური—2,8, შემოდგომის ქერი—2,8; სომხეთი—შემოდგომის პური—2,6, შემოდგომის ქერი—2,7; საქართველო—შემოდგომის პური—3,0, შემოდგომის ქერი—2,8.

ამრიგათ, მდგომარეობა სომხეთში მტკიცეა, საქართველოში და აზერბეიჯანში არახელსაყრელმა ამინდმა გავლენა მოახდინა ამ რესპუბლიკებში შემოდგომის ნათესების მდგომარეობის შემცირებაზე 0,3 ნიშნით.

გაზაფხულის ნათესების მდგომარეობა სომხეთში გაუმჯობესდა, საქართველოში კი რამოდენიმეთ გაუარესდა. სომხეთი—გაზაფხულის პური—3,1, გაზაფხულის ქერი—3,2, გაზაფხულის ყველა ნათესები—3,2. საქართველო—გაზაფხულის პური—2,5, გაზაფხულის ქერი—2,8, სიმინდი—2,7, გაზაფხულის ყველა ნათესები—2,7.

მთავარი პურეულის (შემოდგომის და გაზაფხულის) საერთო მდგომარეობა ცალკე რესპუბლიკებში ასეთია: აზერბეიჯანი—2,8, სომხეთი—3,0, საქართველო—2,7. მთელს ფედერაციაში—2,8, ე. ი. უახლოვდება საშუალო მდგომარეობას

იტალიის სამხედრო წარმომადგენელი თბილისში

საუბარი ბ. მირალიასთან

თბილისში ამჟამათ იმყოფება საავიაციო-საზღვაო ატაშე იტალიის საელჩოსთან საბჭოთა კავშირში, კაპიტანი მირალია, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მან საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ნებართვის თანახმად იმგზავრა ვოლგაზე და ამიერ-კავკასიაში; მგზავრობის მიზანი იყო საბჭოთა საზღვაო ძალების და აგრეთვე საბჭოთა მეზღვაურების ყოფა-ცხოვრების გაცნობა.

მირალიამ მოსკოვიდან გამოსვლის შემდეგ იმგზავრა ვოლგაზე ასტრახანამდე.

ბ—ნ. მირალიის სიტყვებით, ეხლანდელი ტრანსპორტი ვოლგაზე საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს. ყველგან სჩანს სისუფთავე. ბ-ნ მირალიას სიტყვებით, ვოლგის ტრანსპორტის ეხლანდელი მდგომარეობა ამტკიცებს საბჭოთა კავშირის დიდ მიღწევებს.

კასპიის ფლოტის გემები ატაშემ ვერ დაათვალიერა, რადგან ერთი დღით ადრე მის ჩასვლამდი ბაქოში ფლოტილია გავიდა ზღვაში. მან დაათვალიერა რემონტში მყოფი გემები და ნავთის სარეწავები ბიბი-ეიბათში; სარეწავები, მისი აზრით, სავსებით აკმაყოფილებენ თანამედროვე ტეხნიკის მოთხოვნილებებს.

— სამწუხაროთ, სთქვა ბ. მირალიამ, მე არ შემეძლო მეტ ხანს დავრჩენილიყავი თბილისში, მაგრამ ისიც, რაც მე ვნახე, საშუალებას იძლევა ვსთქვა, რომ აქ დიდ მიღწევებს აქვს ადგილი. საჭიროა, დაუმატა მან, მხედველობაში მივიღოთ ისიც, თუ როგორი გამოცდა გაიარა ამ ქვეყანამ.

ბ. მირალიას, მისი სიტყვების თანახმათ, უნდოდა თბილისიდან გამგზავრებულიყო სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტის დასათვალიერებლათ, მაგრამ მოულოდნელმა გარემოებებმა რომლებმაც დააჩქარეს მისი გამგზავრება მოსკოვში, საშუალება არ მისცა მას ესარგებლა ამ შემთხვევაში იმ ნებართვით, რომელიც მისცა მას ფლოტის დასათვალიერებლათ საბჭოთა კავშირის რევოლიუციონერ სამხედრო საბჭომ.

დაამთავრა რა საუბარი, მირალიამ ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა მის შეხვედრას როგორც ბაქოში, ისე თბილისში.

* * *

ბ. მირალია საავიაციო-საზღვაო საქმეთა ატაშეთ ითვლება იტალიის საელჩოსთან წარსული წლის მაისიდან და ის საკმაოთ კარგათ ლაპარაკობს რუსულათ.

თბილისში ყოფნის დროს ბ. მირალია ესტუმრა სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ამხ. სერგო ორჯონიკიძეს და კავკასიის წითელდროშევან არმიის სარდალს, ამხ. კორკს.

სამი დღის წინათ მან დაათვალიერა საბავშვო კურორტი ბორჯომი.

გუშინ ის საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა მოსკოვში.

ბ. მირალიას განზრახვა ჰქონდა ამიერ-კავკასიის შემდეგ დაეთვალიერებია სევასტოპოლი, მაგრამ იმის გამო, რომ ლენინგრადში მოსალოდნელია იტალიის ესკადრის გემების ჩამოსვლა, ის იძულებული იყო სასწრაფოთ გამგზავრებულიყო მოსკოვში.

საშემოსავლო გადასახადის რეფორმისათვის

ა|კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სპეციალ კომისიაში,—რომელსაც მინდობილი აქვს საშემოსავლო გადასახადის საკითხის გამოკვლევა და რომელმაც მიმართა თბილისის საბირჟო კომიტეტს წარედგინა თავისი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ,—ამ უკანასკნელმა შემდეგი მოსაზრება წარადგინა:

პირველ ყოვლისა აღნიშნული გადასახადით დაბეგვრა უნდა სწარმოებდეს წლიური შემოსავლის მიხედვით, ნაცვლად ნახევარ წლის შემოსავლისა. ამ მოსაზრებას თბილისის საბირჟო კომიტეტი ასაბუთებს იმ მოსაზრებით, რომ სავაჭრო-სამრეწველო კლასი, წელიწადში ერთხელ დაბეგვრით, უკეთესად განსაზღვრავს თავის შემოსავალს. ამასთანავე კომიტეტი გამოსთქვამს სურვილს, რათა ბეგრის გადახდა სწარმოებდეს განაწილებულ დროებში, პროცენტების და განსაკუთრებულ ჯარიმების გადაუხდელად.

შემდეგ, საბირჟო კომიტეტი აღნიშნავს, რომ ვაჭარ-მრეწველთა დაბეგვრა აღნიშნულ გადასახადით უნდა სწარმოებდეს ინდივიდუალური შემოსავლის მიხედვით და არ უნდა ეყრდნობოდეს სათანაბრო გადასახადს.

ე. წ. „საკლასო გადასახადი“-ს მიმართ კომიტეტი გამოსთქვამს სურვილს, რათა იგი სრულიად მოისპოს იმ გვარად, რომ დაბეგვრა სწარმოებდეს შემოსავლის თანახმად.

გადასახადების სიმრავლე, რაც ცუდად მოქმედებს გადამხდელთა ფსიქოლოგიაზე,—ანგარიშთა გასწორების დროს გაუგებრობას იწვევს და დიდ დროს მიაქვს ბეგრის გადახდის პროცესზე და სხვა.

დასასრულ გატოთქმულია სურვილი, რომ საჩივრები, რომელიც შემოაქვთ უკმაყოფილო გადამხდელებს, სასწრაფოდ იქნას [illegible]

კურსები სატრაქტორო საქმის შესასწავლათ

15 ივნისს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი ხსნის კურსებს სატრაქტორო საქმის შესასწავლათ. კურსებზე ისწავლიან გლეხები, რომლებმაც იციან მჭედლობა და ნაწილობრივ საზეინკლო საქმე. კურსები იქნება თვენახევრიანი, განზრახულია 15—20 ტრაქტორისტ-გლეხის გამოშვება.

გამოცდილებიდან სჩანს, რომ ტრაქტორებზე შოფერების-ავტომობილისტების მუშაობა ვერ აღწევს მიზანს, რადგან შოფერები არ არიან დაკავშირებული მიწასთან და უდიერიან ტრაქტორებს, როგორც სპეციალ მანქანებს. სათანადო კომისიებმა საჭიროდ სცნეს, რომ უმჯობესია ტრაქტორისტების გამოყოფა გლეხებისაგან.

უკანასკნელი თვის განმავლობაში საქართველოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის საწყობიდან გაგზავნილია მაზრებში 8 ტრაქტორი „ფორდზონის“, რომელიც მიღებული იყო ა|კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს შემწეობით. 5 „ფორდზონი“ კიდევ დარჩა საწყობში. ტრაქტორები დანაწილებულია იმ მაზრებს შორის, სადაც ნიადაგის ზედაპირი უმეტესად სწორია. ცდები, რომელთაც აწარმოებდენ იმ ადგილებში, სადაც [illegible] გამოყენებულ იქნა ფორდსონის ტრაქტორები, დადებით შედეგს იძლევა. რაც შეეხება ერთად-ერთ „სოლტოვსკის“ ტრაქტორს, ის იმყოფება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის საცდელ-სარემონტო სახელოსნოსთან. ამავე სახელოსნოსთან იქნება მოწყობილი ტრაქტორისტების კურსებიც, რომლებიც იხსნება 15 ივნისს.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი ტრაქტორებს გლეხებს აძლევს შემდეგ პირობებში: პირველად ერთდროულად გადახდილი უნდა იქნეს 500 მანეთი ტრაქტორის საერთო ღირებულებიდან (2000 მან.) მთელი ფასი გადახდილი უნდა იქნეს 2 წლის განმავლობაში, რისთვისაც გლეხებს ეძლევათ სათანადო კრედიტი. თვითეული გლეხი ან ორგანიზაცია, რომელიც მიიღებს ტრაქტორს, აწყობინებს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს ტრაქტორის მუშაობის შესახებ განსაკუთრებულ ანკეტებით.

მეფუტკრეობა ქვემო იმერეთში

ქვემო-იმერეთში მეფუტკრეობის განვითარებას ხელს უწყობს მეტად რბილი ჰავა და ყვავილოვან მცენარეთა სიუხვე. ომამდე ქვემო იმერეთში მეფუტკრეობა წარმოადგენდა მეურნეობის ერთ მნიშვნელოვან დარგთაგანს. არსებობდა მეფუტკრეთა რამოდენიმე ამხანაგობა. ამ უკანასკნელ ხანებში მეფუტკრეობა საგრძნობლად დაეცა. ამჟამად მთელს ქვემო იმერეთში არსებობს მეფუტკრეთა მხოლოდ ერთი ამხანაგობა, რომელსაც ჰყავს მხოლოდ 10 წევრი და აქვთ საკუთარი სკების მეტად განსაზღვრული რიცხვი.

ამ რამოდენიმე წლის წინად ამავე ამხანაგობას ჰყავდა რამოდენიმე ათეული წევრი.

ამ რამოდენიმე თვის წინად დაბა ბაღდათში (ქუთაისიდან 25 ვერსის დაშორებით) დაარსდა მეფუტკრეთა ახალი საზოგადოება. საზოგადოება ჯერ-ჯერობით აერთებს 60 მეფუტკრეს.

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებით მთელს ქვემო-იმერეთში აღრიცხულია 3 ათასამდე სკა. აქედან 20 პროცენტზე მეტს წარმოადგენს ჩარჩოიანი სკა. თვითეული ჩარჩოიანი სკის წლიური მოსავალი უდრის—ერთ ფუთ თაფლს და 10 გირვანქა სანთელს.

უბრალო სკის წლიური მოსავალი გაცილებით ნაკლებია. საშუალოდ თვითეული უბრალო სკა იძლევა წელიწადში 10 გირვანქა თაფლს და 3 გირვანქა სანთელს.

ამ მიმდინარე წელს სასოფლო მეურნეობის ამ დარგსაც—მეფუტკრეობას გამოცოცხლება დაეტყო. გარდა იმისა, რომ დაბა ბაღდადში დაარსდა მეფუტკრეთა ახალი საზოგადოება, ამავე დაბაში ივნისში გაიხსნება მეფუტკრეობის მოკლე ვადიანი კურსები, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გაგზავნილი სპეციალისტ-ინსტრუქტორი.

პარტიული ცხოვრება

ლენინის რაიკომის პლენუმი

5 ივნისს ამხ. ლ. ქავთარაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა ლენინის რაიონულ კომიტეტის პლენუმი, რომელიც დამთავრდა 7 ივნისს.

პლენუმის დღის წესრიგში იდვა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ავჭალის ქვე-რაიკომის მუშაობის შესახებ, 2) დეპოს მთ. სახელოსნოს ბიურო-კოლექტივის შესახებ, 3) ა. კ. რკ. გზის უფროსის მოხსენება. 4) ქალთა განყ. ანგარიში, 5) თბილისის საუბნო კავშირის მოხსენება, 6) საორგანიზაციო და სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების საზაფხულო მუშაობის გეგმის დამტკიცება და 7) მიმდინარე კითხვები.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. არუთინოვი, რომელიც დაწვრილებით შეეხო ავჭალის ქვე-რაიკომის მუშაობას და ამით საშვალება მისცა პლენუმს ნათელი წარმოდგენა ექონიოს ქვე-რაიკომის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ქვე-რაიკომს აქვს უჯრედები: წყალსადენში, ზაჰესში და სხვაგან და მთავარი ყურადღება მისი მიქცეულია იქითკენ, რომ ახლო მდებარე სოფლებში გააძლიეროს პარტმუშაობა, რათა გლეხები ნდობით უცქერდენ პარტიას; ამ მხრივ შესაფერი შედეგები უკვე მიღწეულია რამდენათმე.

დეპოს ბიურო-კოლექტივის საქმიანობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნადირაშვილი. მისი მოხსენებიდან სჩანს, რომ კოლექტივი აერთიანებს ორ უჯრედს—300 წევრით და კანდიდატებით. მათ შორის საკმაო რაოდენობას წარმოადგენენ „ლენინის გაწვევის“ პარტწევრები, რომლებმაც იმედები გაამართლეს. სწარმოებს მუშაობა ყოფ. მენშევიკების, კომკავშირელების, პიონერების და სხვათა შორის, რასაც კარგი ნაყოფი მოაქვს. მუშაობა პლენუმმა დამაკმაყოფილებლად სცნო.

ქალთა განყოფილების ანგარიშით გამოდის ამხ. ბიბინეიშვილი, საიდანაც ირკვევა, რომ მუშაობა ქალთა შორის ცოტას მოიკოჭლებს, მაგრამ საერთოდ დამაკმაყოფილებლად უნდა ჩავთვალოთ.

საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშების წამოყენების შესახებ მომხსენებელი, ა|კ. რკ. გზ. სამმართველოს უფროსის თანაშემწე ამხ. ბაირამოვი აღნიშნავს, რომ ა|კ. რკ. გზებზე დიდი მუშაობა მიმდინარეობს, აქტიური მუშების მონაწილეობით, საპასუხისმგებლო ადგილებზე მუშების წამოყენების საკითხში. რამდენიმე ხნის განმავლობაში ეს უკანასკნელნი ისეთ უნარს იჩენენ, რომ „სპეცებს“ არ ჩამოუვარდებიან თავიანთი სამეურნეო უნარიანობით.

ამხ. უსტიევის მოხსენებიდან ირკვევა, რომ მუშათა ბინების საკითხი ჯერ კიდევ ვერ არის მოგვარებული, თუმცა ამ მხრივ დიდი ნაბიჯებია გადადგმული: აშენებულია რამდენიმე სახლი, მაგრამ ეს მაინც ვერ შველის ბინების კრიზისის შენელებას. საუბნო კომიტეტი იღებს სათანადო ზომებს და სცდილობს მოქმედების აპარატი რაც შეიძლება გააფართოვოს.

მთავარ სახელოსნო ბიურო-კოლექტივის შესახებ ამხ. კიკნაძის მოხსენებიდანაც სჩანს, რომ მუშაობა ნაყოფიერად სწარმოებს. ჰყავთ 650-მდე წევრი, ავრცელებენ ჟურნალ-გაზეთებს, მჭიდრო კავშირში არიან საშეფო ნაწილებთან, გამოწერილი აქვთ 2.300 ცალი გაზეთი და სხვა.

შემდეგ დამტკიცებულ იქნა მომავალი მუშაობის გეგმა, რომელიც შეიცავს 3 თვის პერიოდის და საზაფხულო მუშაობის გეგმას.

მიმდინარე საკითხებში გაირჩა ლენრაიონში მუშათა დიდი კლუბის აშენების შესახებ. ამჟამად ამ რაიონს არ გააჩნია კლუბი ისეთი მოცულობისა, სადაც შეეძლოთ ადგილობრივ მუშებს თავმოყრა თავისუფლად პლენუმმა მიზნად დაისახა ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელება და აირჩია იმისათვის განსაკუთრებული კომისია.

პლენუმს საქმიანი ხასიათი ჰქონდა, მან მოისმინა და შეაჯამა წარმოებული მუშაობა და შეიმუშავა მომავლის გეგმა, რომელიც ბევრ საგულისხმო საკითხებს შეიცავს, რაც უთუოდ გატარებულ იქნება ცხოვრებაში.

ზ.

ს. ქ. პ. ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიაში

ქალთა ორგანიზატორების საზაფხულო მუშაობის შესახებ სოფლად.

დაამტკიცა რა გეგმა ქალთა ორგანიზატორების საზაფხულო მუშაობისა სოფლად, საორგანიზაციო კოლეგიამ წინადადება მისცა ქალთა განყოფილებას შეავსოს სოფლად ანტირელიგიური პროპაგანდა საბუნებისმეტყველო სამეცნიერო პოპულიარული პროპაგანდით. ამავე დროს ქალთა განყოფილებას ევალება შეისწავლოს—გლეხქალების ყოფა-ცხოვრება და უფლებრივი მდგომარეობა და აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუშაობას ქართველ ქალებს შორის.

ქალაქის რაიონის პიონერთა ორგანიზაციის დათვალიერების შედეგების შესახებ.

საორგანიზაციო კოლეგიამ წინადადება მისცა კომკავშირის თბილისის კომიტეტს მოახდინოს პიონერთა ორგანიზაციების დათვალიერება ყველა რაიონებში. აგრეთვე სხვა ქალაქებში მუშაობის გამოცდილების გასაცნობად კომკავშირს ევალება კავშირი იქონიოს სხვა ქალაქების პიონერთა ორგანიზაციებთან.

გამომგონებელთა საზოგადოების მოწყობის შესახებ.

საორგანიზაციო კოლეგიამ გადასწყვიტა მორიგ რაიონულ სადელეგატო და საერთო კრებებზე გამოქვეყნებულ იქნეს ცნობა გამომგონებელთა საზოგადოების არსებობის შესახებ.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლიგის უჯრედთა მოწყობის შესახებ.

საორგანიზაციო კოლეგიამ განიხილა საკითხი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლიგის უჯრედთა მოწყობის შესახებ და სცნო, რომ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უჯრედები უნდა წარმოადგენდენ მხოლოდ საწარმოო თათბირების დამხმარე ორგანოებს. საკითხი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უჯრედების და საწარმოო თათბირების კავშირის ორგანიზაციულ ფორმების საბოლოოდ შემუშავების შესახებ საორგანიზაციო კოლეგიამ გადაიტანა პროფკავშირთა საბჭოში.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

სოფ. კარალეთის ა. ლ. კ. კ. უჯრედი (გორის მაზრა)

6 თვე სრულდება, რაც ჩვენ სოფელში არსებობს ა. ლ. კ. კ. უჯრედი. უჯრედში შედის 50 ვაჟი და 15 ქალი. ყოველ ხუთშაბათობით იმართება პოლიტიკური მეცადინეობა.

ქ. გორიდან არიან მომაგრებული ორი ამხ., რომლებიც დაიარებიან ყოველ კვირაობით, ახდენენ კრებებს, სხვა და სხვა საკითხებს უხსნიან წევრებს და სხვა.

კავშირის წევრები დიდ მონაწილეობას იღებენ შეკითხვებში, კამათში, და საერთოდ იჩენენ საკმაო აქტივობას.

მეტადრე ამ ბოლო დროს უჯრედის საქმიანობა წარმატებით მიმდინარეობს. უჯრედის ბიურო აწარმოებს შესაფერ მუშაობას.

წერა-კითხვის უცოდინარი არის მხოლოდ ერთი, დანარჩენებს კი თავისუფლად შეუძლიათ გაზეთის კითხვა.

აქ არსებობდა ლიკსკოლა, რომლის მასწავლებელმა ამხ. ი. გამცემლიძემ არ დაინანა თავისი ენერგია და შეასწავლა ახალგაზრდობას წერა-კითხვა.

ამავე სოფელში არის სამკითხველო, რომელსაც სისტემატიურათ მოსდის გაზეთები. აქ კ. კ. წევრები საღამოობით იყრიან თავს. სამკითხველოს გამგე მათ ხმა მაღლა უკითხავს გაზეთებს და სხვა.

ივ. წყრიალაშვილი.

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების მომწესრიგებელ შერეულ კომისიის მუშაობა

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა. კ. ს. ფ. ს. რ. ამხ. კარკლინმა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების მომწესრიგებელ შერეულ კომისიის მუშაობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

8 მაისს დელეგატებმა მიაღწიეს ყიზილ-დაბის მთას (საქართველო). აღნიშნულ მაღლობსა და მაღლობ 7.518-ს შორის საზღვარი გაყვანილია სწორი ხაზით, ყარსის ხელშეკრულების სწორი ტექსტის თანახმად.

22 მაისს საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის დელეგაციები ერთმანეთს შეხვდენ მაღლობზე 7.602 და გაემგზავრენ აგბაბას წითსკენ, რომლის მწვერვალზე ავიდენ იმავე დღეს. მუშაობის სწრაფად წარმოება შეუძლებელი იყო ქარისა და სეტყვის გამო, რომლებსაც ადგილი ჰქონდა იმ დროს. საზღვარი დიდი აგბაბის ქედზე გაყვანილი იქნა წყალგაყოფის მიხედვით.

25 მაისს დელეგაციები ერთმანეთს შეხვდენ დეგდეგის მთის ძირში. საზღვრების დაწესების მუშაობას მრავალი დაბრკოლებები ელობებოდა, რადგან გზა მეტად ძნელია. უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრების დაწესება შეთანხმებულად ხდება.

29 მაისს სოფელ ყარზაში გაიხსნა შერეული კომისიის მე-13 პლენარული სხდომა.

სხდომაზე განხილული იყო საკითხები საზღვარის დაწესების შესახებ დიდი აგბაბის ხიდზე და საქართველოსა და ოსმალეთს შორის დადებულ საძოვრების კონვენციის შესრულების შესახებ.

კომისიის მიერ მეცხვარეებისათვის დაწესებული იქნა ოთხი გასატარებელი პუნქტი; გატარების ნორმაა 14,000 ცხვარი დღე და ღამის განმავლობაში.

მიღებული იქნა დადგენილება, რომ საქართველოს მეცხვარეები ოსმალეთის ტერიტორიაზე ისარგებლებენ იმავე უფლებებით, როგორც ოსმალეთის მოქალაქეები.

ივნისის დასაწყისში საბჭოთა დელეგაცია განაგრძობდა ვირების შესყიდვას, რომლებიც აუცილებელია მთებზე მოგზაურობისათვის.

ქინაქინის და კაუჩუკის პლანტაციები

კაუჩუკის ხე.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე სოხუმის საცდელი სადგური შეუდგა კაუჩუკის ხეების პლანტაციების გაშენებას. სოხუმის საცდელი სადგურის მიერ დაწყებული კაუჩუკის ხის გაშენება არ არის პირველი ცდა აფხაზეთში. ომამდე სოხუმის საცდელ სადგურს ჰქონდა კაუჩუკის პლანტაციები, რომელიც პირველად გაშენებული იქნა 1890 წელში და იარსება 1914 წლამდე.

ომის დაწყების შემდეგ კაუჩუკის გაშენება შეჩერებულ იქნა. საბჭოთა რუსეთის შინების წარმოებათა ტრესტს განზრახვა აქვს გააფართოოს აფხაზეთში კაუჩუკის ხეებით გაშენებული პლანტაციების მოედნის სივრცე. კაუჩუკის ხის აღმოცენებისა და გაზრდისათვის საჭიროა განსაკუთრებული ხელსაყრელი ნიადაგი და კლიმატიური პირობები, ასეთი პირობებს ჯერ-ჯერობით იძლევა მხოლოდ სოხუმის საცდელი სადგური და ბათომ ს ბოტანიკური ბაღი.

კაუჩუკის ხის გაშენების ტეხნიკის შესასწავლად საბჭოთა რუსეთის „რეზინოტრესტმა" სამეცნიერო ექსპედიცია გაგზავნა კაუჩუკის ხის სამშობლოში,—ბრაზილიაში.

ქინაქინის ხე.

ციებ-ცხელებიანი საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქინაქინის ადგილობრივ დამზადებას.

ამჟამად უცხოეთიდან შემოზიდულ მედიკამენტებს შორის უდიდესი პროცენტი ქინაქინას უკავია. საქართველოში ქინაქინის ხის გაშენების იდეა ომამდე არსებობდა და იყო რამოდენიმე ცდაც ქინაქინის გასაშენებლად. არა ერთი გზობა მოხდენილ ცდით დამტკიცდა, რომ აჭარისტანის და აფხაზეთის ნიადაგს და კლიმატიურ პირობებს კარგათ ეგუება ქინაქინის ხე უფრო უკეთ, ვიდრე კაუჩუკი.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე აჭარისტანში (ბათომის ბოტანიკურ ბაღში) დაიწყო მუშაობა ქინაქინის ხის ჩვეხებური პირობებისათვის შესაგუებლად. ეს მუშაობა უმთავრესად შეიცავს ქინაქინის ხის ისეთი ეგზემპლიარების შერჩევას, რომელიც უძლებენ ყინვიან ამინდს.

ეგზემპლიარების შერჩევა ხდება სუბტროპიკულ მცენარეთა სელექციისათვის არსებული სპეციალური კაბინეტების საშუალებით. ასეთი კაბინეტები მოწყობილია ბათომის ბოტანიკურ ბაღში და სოხუმის საცდელ სადგურთან. კაბინეტებს საჭიროა ამჟამად გაფართოება, რაც დიდ ხარჯს არ მოითხოვს.

მესაქონლეობის მდგომარეობა საქართველოში

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოარკვია, რომ მესაქონლეობა საქართველოში განიცდის მწვავე კრიზისს—ადგილი აქვს პირუტყვთა რიცხვის შემცირებას და მათი ჯიშის გაუარესებას, რაც უმთავრესად აიხსნება მით, რომ არ ყოფილა მიღებული საჭირო ზომები სათანადო ორგანოების მიერ. კრიზისის მთავარი მიზეზებია: საკვების სიმცირე, არა რაციონალური მოშენება და მოვლა, პროდუქტების პრიმიტიულად დამუშავება და მათი გასაღების უსისტემობა.

მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ მესაქონლეობა საქართველოში წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეში,—საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ შეიმუშავა ამ საკითხის შესახებ მთელი რიგი ზომებისა და დაავალა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს სასწრაფოდ გაატაროს ისინი ცხოვრებაში.

პირველი საბჭოთა არხის გაყვანის დამთავრება

უკვე დასრულდა პირველი საბჭოთა არხის მთავარი მაგისტრალის გაყვანა.

არხის სათავე იწყება სადგურ რიონის ახლოს რკინისგზის ხიდთან. ჯერ-ჯერობით არ არის დამთავრებული მეორეხარისხოვან გამწესრიგებელი არხების გაყვანა. როდესაც ეს გამწესრიგებელი არხები მოეწყობა, პირველი საბჭოთა არხი მორწყავს 9 ათასს დესეტინა მიწას. პირველ ხანებში კი პირველი საბჭოთა არხით მოირწყვის 4000 დესეტინა. მთავარი მაგისტრალური არხის სიგრძე უდრის 17 ვერსს, ხოლო მთელი სარწყავი ქსელისა—90 ვერსს. წყლის ხარჯვა უდრის სამს მეოთხედს კუბიკურ საჟენს ყოველ წამში.

მუშაობის დაწყებიდან დღემდე შესრულებულია 12 ათასი კუბიკური საჟენი მიწის სამუშაოებისა და 116 კუბიკური საჟენი კლდისა და სათანადო სამუშაოებისა.

ხელოვნურ ნაგებობიდან ყველაზე მეტად მნიშვნელოვან დიდს ნამუშევარს წარმოადგენენ. სათავე შლიუზით ორი გადარბენით, ხიდი ხუთი შლიუზით გამანაწილებელ არხებზე, არხის თავზე აგებული რკინისგზის ახალი ხიდი.

მიწის სამუშაოები და მასალების გატანა სამშენებლო ადგილებზე სრულდებოდა ადგილობრივი გლეხების მიერ, ხოლო მასალებს ხელოვნურ ნაგობებისათვის აწვდიდა ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო. პირველი საბჭოთა არხის აგება დაიწყო 1922 წელს „ჰიდროსტროიმ", რომლის გაუქმების შემდეგ არხის საამშენებლო მუშაობის ხელმძღვანელობა და მასალების მიწოდება და თანხების ძლევა განაგრძო ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ.

პირველი საბჭოთა არხის გახსნა—წყლის არხში გადაშვება მოხდება კვირას, 14 ივნისს.

წყალსადენები და პატარა საწყავი არხები კახეთში

თელავის მაზრის და ნაწილობრივად სიღნაღის მაზრის სოფლების უმეტესობა მოკლებული არიან სასმელ წყლებს. სოფლელებს წყალი დააქვთ ტვირთით და ვირებით ძალიან შორი მანძილიდან. ალაგ-ალაგ ხმარობენ ხევის წყალს, რომელიც ხშირად უსუფთაოა და დაუწმენდელი. უწყლობა აწუხებს სოფლებს განსაკუთრებით შემოდგომაზე, როდესაც რთველობა არის გაჩაღებული და საჭიროა მარანის და ჭურების გასუფთავება-გარეცხვა.

გარდა ამისა თელავის მაზრის ბევრი სოფელი საჭიროებს ყანების მორწყვას, რომელიც აუცილებელია გვალვიან ამინდში, რომ გლეხობას არ დაზარალოს ნამუშევარი და არ გაუხმეს თივა სათიბებში. გასაბჭოების შემდეგ სოფლის და თემის აღმასკომები შეუდგნენ ზოგიერთ სოფლებში წყალსადენების და არხების გაყვანას ნატურალური ნებაყოფლობითი ბეგარის საშუალებით. ზოგიერთ სოფელს დღეს უკვე აქვს წყალსადენი, მოახლოებაში აწვდის სუფთა ანკარა წყალს.

რაც დრო გადიოდა, არხების და წყალსადენების გაყვანის სურვილი თანდათან იზრდებოდა, განსაკუთრებით თელავის მაზრაში. მუშაობას გლეხები ეწევიან სრულიად ძალდაუტანებლად დიდი შეგნებით და მუყაითობით.

ამ ჟამათ მთელს თელავის მაზრაში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა პატარა სარწყავი არხების გასაყვანად. მოკლე ხანში თელავის მნიშვნელოვან რაიონებში გაბმული იქნება პატარა არხების ქსელი.

დიდი ხევებიდან წყალი გაჰყავთ სოფელ შრომაში (ყოფილი ვაჩნაძიანი), ახმეტაში, ნაფარეულში, ურიათ უბანში, არტანაში, შაქრიონში, ენისელში.

მუშაობას აბრკოლებს მხოლოდ ის გარემოება, რომ მომუშავე გლეხებს არ ჰყავთ მეთვალყურე ტეხნიკოსი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს და გეგმიან ხასიათს მისცემს არხების გაყვანას. თელავის აღმასკომს ჰყავს მხოლოდ ერთი ტეხნიკი, რომელიც მუშაობას ვერ ასწრებს. გლეხები მოითხოვენ ტეხნიკებს

საქართველოს ეკონომიურ საბჭოში

გლეხის მეურნეობის ბიუჯეტის გამოკვლევა

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო 300 გლეხის მეურნეობის ბიუჯეტის გამოკვლევა. ამ საქმისათვის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიერ გაღებულია 3.180 მან. 150 გლეხის ბიუჯეტის გამოსაკვლევათ, დანარჩენი 150 ბიუჯეტის გამოკვლევისათვის საჭირო 3.180 მან. გაღებული იქნება ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს მიერ.

ტყე-კაფვის ფონდის განმანაწილებელი კომისია

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ტყე კაფვის ფონდის განმანაწილებელ საუწყებათაშორისო კომისიისათვის, სახელმწიფო საგეგმო კომისიის და იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასკვნის თანახმად დამტკიცებულ იქნა ზოგიერთ ცვლილებით.

სამთომადნო მრეწველობა

საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის დასკვნა, ს. ს. რ. კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ შემუშავებული სამთომადნო მრეწველობის საჭიროებისათვის მიწის ზედა პირის გადაცემის წესის შესახებ დამტკიცებულ იქნა ეკონომიურ საბჭოს მიერ.

საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსება ქ. ონში

რადგან ქ. ონი ტერიტორიალურად ძლიერ დაშორებულია ცენტრს, სადაც არსებობს საკრედიტო დაწესებულებანი, რაც მის მოსახლეობას საშუალებას უსპობს ისარგებლოს საჭირო კრედიტით, ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსება ქ. ონში.

საქონლის ბრუნვის გასაფართოებლად

საქართველოს ფარგლებში საქონლის ბრუნვის გაფართოებისა და კერძო კაპიტალის სავსებით გამოყენების მიზნით, მოეწყოს თბილისის სავაჭრო-საფონდო ბირჟასთან კერძო ვაჭრობის სექცია. ამ დადგენილების განხორციელება დაევალოს ა/კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულს.

კახეთის ელექტროფიკაცია

წინადადება მიეცა საქ. სახ. საგეგმო კომისიას წარმოადგინოს საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით წინასწარი მოსაზრებანი კახეთის ელექტროფიკაციისათვის ალაზნის არხზე ბაკურციხიდან გადაყვანილ წყლის ენერგიის გამოყენების შესახებ.

საზოგადოება „აბრეშუმი"

წინადადება მიეცა კოოპერატიულ საზოგადოება „აბრეშუმს" მიიღოს თავის თავზე ის ვალდებულებანი, რაც გამომდინარეობს საზოგადოება „რუს-თურქ"-სა და ცეკავშირს შორის 1925 წ. მარტის 27-ის თარიღით დადებული ხელშეკრულებით.

საქართველოს კოოპერაციისათვის გადადებულ თანხის განაწილება

ს. ს. რ. კ. შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ საქართველოს კოოპერაციისათვის გადადებული 265.000 მან. განაწილების პროექტის შესადგენად დაარსდა კომისია.

აღნიშნულ კომისიას გადაეცა ამ საკითხის შესახებ არსებული ყოველგვარი მასალა.

დახმარება საგლეხო მეურნეობას

საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი სტიქიურ მოვლენებით დაზარალებულ საგლეხო მეურნეობათა დასახმარებლად გადადებული 850.000 მან. განაწილების პროექტი დამტკიცდა შემდეგი სახით: აფხაზეთს—100.000 მან., აჭარისტანს—100.000 მან., სამხრეთ-ოსეთს—50.000 მან., დანარჩენი თანხა განაწილდა მაზრებს შორის.

პროფკავშირებში

საბიუჯეტო საოპერაციო წლის დაწყების შესახებ

ცირკულიარულად

საქართველოს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილება ცნობათ და შესასრულებლად გატყობინებთ, რომ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის ა/წ. 28 მაისის დადგენილების თანახმად, ყველა პროფორგანიზაციების საბიუჯეტო-საოპერაციო წელი უნდა ჩაითვალოს ყოველი წლის პირველი იანვრიდან, ოცდათერთმეტ დეკემბრამდე.

წინადადება გეძლევათ შემდეგში საფინანსო-ოპერაციები აღნიშნულ პირველ რიცხვისათვის დაამთავროთ.

მიმდინარე წლის საფინანსო-საოპერაციო წელი კი ჩასთვალეთ 1924 წ. 1 ოქტომბრიდან 1925 წ. პირველ იანვრამდე.

ს. პ. კ. ს. საორგ. განყ. გამგის მოადგილე: მარკმანი.

ს. პ. კ. ს. საორგ. განყ. მდივანი ღვინეფაძე.

მუშების კვება თბილისში

(სტატისტიკური ცნობებიდან)

ქალაქის სამკურნალო სტატისტიკა და ქალაქის მოსახლეობის კვების სპეციალური გამოკვლევა, რომელიც მოახდინა თბილისის აღმასკომის სტატ-განყოფილებამ, გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი კვების საქმე ვერ სდგას სასურველ დონეზე.

საწარმოო თათბირებმა, მედკურმა დაკვირვება-დათვალიერებამ, სპეციფიურ დაავადმყოფებათა აღრიცხვამ გამოააშკარავეს კვების საერთო შემცირება-დაწევა, რომელიც, როგორც გვიჩვენებს დაკვირვება, იწვევს შრომის ნაყოფიერების შემცირებას.

მეცნიერული გამოკვლევა მუშის ორგანიზაციის ყოველდღიური მოხმარების ნორმად დაწესებულია 3.750 კალორია, ხოლო ტფილისელი მუშის ორგანიზმი საუკეთესო შემთხვევაში ითვისებს—იღებს ყოველდღიურად მხოლოთ 3472 კალორიას.

ნორმალური ულუფის (ე. ი. დღეში 3.7 0 კალორია) უდიდესი ნაწილი ხმარდება ორგანიზმის შენახვას მხოლოდ აღნიშნული პროცენტი მიდის სასარგებლო მუშაობის საწარმოებლად. საკვებიდან მიღებული სითბოს 94 პროცენტი იხარჯება შინაგან ფიზიოლოგიურ პროცესზე, მხოლოდ 6 პროცენტი ხმარდება საწარმოო შრომას.

სტატ. განყოფილების ცნობები გვიჩვენებენ, რომ ჩვენს მუშას არ ყოფნის სითბოს ენერგია საწარმოო შრომისათვის. სითბო, რომელსაც მიიღებს საკვებიდან იღებს მუშა, ძლივს ინახავს ორგანიზმს მიიღოს დამაკმაყოფილებელი პრო[illegible]ი მუშაობის საწარმოებლად, [illegible] ლაპარაკი.

კვების შემცირების მიზეზი არის არა ხელფასის სიმცირე, არამედ კვების უცოდინარობა და უწესობა სტატისტიკური ცნობებით ირკვევა, რომ ჩვენი მუშა ხმარობს ცხიმოვანი ნივთიერების (კარაქს, ერბოს, ქონს) უმნიშვნელო რაოდენობას, სამაგიეროთ ძლიერ ეტანება სპირტეულ სასმელს, მწვანილს, კარტოფილს, პურს, რომელნიც ითვლებიან ან ნაკლებ მკვებავ ნივთიერებათ ან მავნებლად (სპირტი). ამავე დროს სპირტი ერბოსა და ქონზე გაცილებით მეტი ფასობს.

ყოფაცხოვრებასთან და ტრადიციებთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზეზები იწვევენ უწესო და არა საკმარისს კვებას, რაც ასუსტებს ორგანიზმს, ამცირებს შრომის უნარიანობას და ნაყოფიერებას და დასასრულ სრულიად ასნეულებს ორგანიზმს.

ამავე დროს სტატ. ცნობები გვიჩვენებენ, რომ ამ ჟამად არსებული ხელფასი მუშას საშუალებას აძლევს გამოჰკვებოს თავისი ორგანიზმი სათანადოთ, თუ იგი გადაეჩვევა ნაკლები მკვებავი და მავნებელ ნივთიერებების ხმარებას.

ზ.

ხე-ტყის დამუშავება

ინჟ. ტატარინოვის გამოგონება.

ბათომში მცხოვრებმა ინჟ. ტატარინოვმა გამოიგონა გაუმჯობესებული აპარატი-ხელსაწყო, რომლითაც შესაძლებელია ადგილობრივი ხის ჯიშების გამოხდა. ამ აპარატით რამოდენიმეჯერ მოახდინეს ცდა, რომელმაც ჩინებული ნაყოფი გამოიღო; დაწვრილებითი შემოწმების და გასინჯვის შემდეგ აჭარისტანის ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით შეუდგენ ამ აპარატის დადგმას სოფელ ციხის-ძირში. მაისის დამლევს აპარატის მოწყობა სავსებით დამთავრებული იქნა. პირველმა მუშაობამ გამოარკვია, რომ ადგილობრივი აჭარული ხიდან შეიძლება 27 პროცენტი ნახშირის მიღება, 1 პროცენტი ფისის გამოხდა, 30 პროცენტი—ხის ძმრისა და 8 პროცენტი სკიპიდარისა.

უკანასკნელ დრომდე ეს პროდუქტი შემოჰქონდათ უცხოეთიდან. ქარხნის მუშაობის პირველი შედეგები ფრიად ნაყოფიერი გამოდგა, რამაც სავსებით დაადასტურა პირველი ცდებით მიღებული დასკვნები. იყო რამოდენიმე ცდა აგრეთვე ინჟ. ტატარინოვის აპარატის საშუალებით შეშიდან კრეოზოტის გამოღებისა. ცდებით დამტკიცდა, რომ ახლად გამოგონებული აპარატით მოსახერხებელია 10 ფუთი შეშიდან 2 კრეოზოტის მიღება. აჭარისტანის ს. მ. უ. საბჭო ფიქრობს გააფართოვოს ამ აპარატის საშუალებით ხის გამოხდის საქმე, რომელიც ეკონომიურად მეტად ხელსაყრელია.

ხე-ტყის დამზადება თელავის მაზრაში.

ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველოს ხე-ტყის დამზადების განყოფილებამ თელავის ქვეგანყოფილების საშუალებით ქისიხევის სატყეო აგარაკზე დაამზადა 30 ათასი ცალი შპალი, ნაფარეულის რაიონში 800 კუბ. საჟენი შეშა, სოფელ ფშაველში—ტელეგრაფის და ტელეფონის სვეტები დიდი რაოდენობით. ამავე რაიონებში თელავის ქვეგანყოფილება ამზადებს დიდძალ ხის ნახშირს. დამზადებული მასალა თანდათანობით იგზავნება ამიერ-კავკასიის რკინისგზის სხვადასხვა ხაზზე გამოსაყენებლად.

„ავიოქიმი"

(საუბარი საზ-ბის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლ. აბაშიძესთან)

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს, საჰაერო ფლოტის მეგობართა და ქიმიის მრეწველთა საზოგადოებების გაერთიანების შესახებ ამხ. ლ. [illegible] შემდეგი სთქვა:

—აღნიშნული ორი საზოგადოება დაარსებიდანავე ერთნაირ მიზნებს ისახავდენ და ერთ საქმეს ემსახურებოდენ, სახელდობრ: ჩვენი სამხედრო ძლიერების განმტკიცება და ამ საქმეში მუშებისა და გლეხების ფართო მასების ჩაბმა.

ამის გამო მათი ცალ-ცალკე არსებობა არ იქნა ცნობილი მიზანშეწონილად, მოხდა მათი გაერთიანება.

ეს საკითხი პირველად დაისვა და გადაიჭრა ცენტრში.

4 ივნისს ჩვენშიც მოხდა ამ ორი საზოგადოების პრეზიდიუმების გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც დაასრულეს დამოუკიდებელი არსებობა ამ საზოგადოებებმა. საჰაერო ფლოტის და ქიმიის მეგობართა გაერთიანებულ საზოგადოებას ეწოდა „ავიო-ქიმი". ორივე საზოგადოების წევრები მექანიკურად გადაირიცხენ ახალ საზოგადოებაში.

არჩეულია გაერთიანებული საზოგადოების პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ხუცუღაშვილი. არჩეულ იქნა აგრეთვე მცირე პრეზიდიუმი 7 კაცისაგან, რომელსაც დაევალა საზოგადოების საქმეების ხელმძღვანელობა.

საზოგადოების სტრუქტურა ასეთია: სამეცნიერო, საორგანიზაციო და საწარმოო განყოფილებები, რომლებიც კიდევ იყოფა ქვე-სექციებად—სააგიტ-საპროპაგანდო და სხვა.

ამჟამად პრეზიდიუმის საქმიანობა გამოიხატება საჰაერო ფლოტის ვერცხლის ლატარიის ჩატარებაში.

ამავე დროს არჩეულ იქნა სპეციალური კომისია, საზოგადოების მომავალი საქმიანობის გეგმის შესადგენად.

საქართველოს მუზეუმში

ახალი ისტორიული ნაშთების მიღება

კახეთიდან დაბრუნდა საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ-ეტნოგრაფიული განყოფილების გამგე ამხ. გ. ს. ჩიტაია, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა შემდეგი:

—კახეთში მგზავრობის მიზანი იყო არქეოლოგიურ-ეტნოლოგიური გამოკვლევის მოხდენა და ის გრძელდებოდა ათი დღე.

მგზავრობის დროს ამხ. ჩიტაიამ ალაზნის არხში, სოფელ წნორისწყალის ახლოს აღმოაჩინა ერთგვარი ღირებულების მქონე არქეოლოგიური საგნები. სამწუხაროთ, აღმოჩენილი ინვენტარის ცალკე ნაწილების დალაგება საშუალებას არ იძლევა გამორკვეული იქნეს მათი ეპოქა. მაგრამ, იმის გამო, რომ არხის გაყვანა განზრახულია ისტორიული გადმოცემით არსებულ ქალაქ გუმბათოვანის ტერიტორიაზე, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ არხის გაყვანის დროს აღმოჩენილი იქნება ძვირფასი უძველესი საფლავები.

საქართველოს მუზეუმში ჩამოტანილია მთელი რიგი კერამიული და ბრინჯაოს ნაწარმოებნი, რომლებიც აღმოჩენილი იქნა მაისში არხის გასაყვანათ წარმოებულ მუშაობის რაიონში.

თელავის მაზრიდან ამხ. ჩიტაიამ ჩამოიტანა ძვირფასი ეტნოგრაფიული კოლექციები, სახელდობრ: ძველებური კაჟის თოფები, მუზარადი, აბჯარი, ფარი—სპარსული ორნამენტებით (დაახლოვებით 16—17 საუკ.) და მთელი რიგი შრომის იარაღები.

სხვათა შორის, საქართველოს მუზეუმში აღნიშნავენ: სიძველეთა დათვალიერებამ თელავის მაზრაში, სამწუხაროთ, დაამტკიცა, რომ მათი დაცვა არ სდგას სათანადო სიმაღლეზე. პირველი—არ არის შედგენილი სიძველეთა ძეგლების სათანადო სიები, არ არის მიღებული ზომები მათ დასაცავათ. ცაკის სათანადო დეკრეტი სიძველეთა დაცვის შესახებ ადგილებზე არ ტარდება ცხოვრებაში, მთელი რიგი ძეგლები დანგრეული აღმოჩნდა სიძველეთა დაცვის კომიტეტის წინასწარი ნებართვის გარეშე (სოფელი ოუისპირი და სხვა).

გაზეთების გადაგზავნის დასაჩქარებლად

ა/კავკასიის საოლქო კავშირის განკარგულებით იმ ადგილებში, სადაც ყოველდღიურად სწარმოებს სწრაფი და საფოსტო მატარებლების მიმოსვლა, გაზეთები უნდა გაიგზავნოს პირდაპირი მარშრუტით, ხოლო რკ. გზის შტოებზე გაზეთები გაიგზავნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მატარებლების მიმოსვლის ცხრილის მიხედვით გაზეთები დანიშნულების ადგილზე უფრო სწრაფად მიაღწევს. საფოსტო აგენტი, რომელიც საბაჟოდან ღებულობს გაზეთებს, ვალდებულია შეუთანხმდეს რედაქციის წარმომადგენელს გაზეთის სწრაფი გადაცემის შესახებ.

მიმდინარე წლის პირველ ივლისიდან შემოღებულ იქნება პერიოდული გამოცემების გადაგზავნის ახალი სისტემა, რომელიც ძალიან ამარტივებს და აიაფებს პერიოდული გამოცემების გადაგზავნას. გამომცემლობებისა და საფოსტო უწყებებისთვის საოლქო კავშირის სამმართველო წინასწარ დაამუშავებს პერიოდული გამოცემების ადგილებისათვის მოწოდების სქემას. პირველ ივლისისათვის გაზეთებზე და ჟურნალებზე მთელი ხელისმოწერა, როგორც ახალი, ისე განახლებული, უნდა გადაყვანილ იქნეს აღრიცხვის ახალ სისტემაზე. ახალი სისტემის შემოღების შემდეგ, გამომცემლობანი განთავისუფლებული იქნებიან ბეჭდვითი სიტყვის დაკეცვა-ჩალაგებისაგან დამზადებისა და ადრესების დაწერისაგან. ყველა ამ სამუშაოებს ნაწილობრივად შეასრულებს თვით ფოსტა, ნაწილობრივად გამომცემლობათა საფოსტო დაწესებულება-ექსპედიციები.

ფრიტიოფ ნანსენის ჩამოსვლის გამო

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ პირეიდან (საბერძნეთი) გამოსული პოლიარული ქვეყნების ცნობილი გამომკვლევი ფრიტიოფ ნანსენი, რომელიც უკანასკნელი დროის განმავლობაში დიდ ყურადღებას აქცევს ლტოლვილებისათვის დახმარების გაწევის საკითხს, ბათომში ჩამოვა 14 ივნისს.

ბათომიდან ფრიტიოფ ნანსენი ჩამოვა თბილისში, საიდანაც გაემგზავრება ერევანში; იქ ის საბჭოთა სომხეთის მთავრობასთან ერთად განიხილავს საკითხს იმ სომეხ ლტოლვილების მიღების შესახებ, რომლებიც ეხლა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში სცხოვრობენ

ფრიტიოფ ნანსენი სომხეთში დარჩება 10 დღე.

ნანსენი არის ნორვეგიის საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ნანსენთან ერთად ამიერ-კავკასიაში ჩამოვა ამ ორგანიზაციის სპეციალური კომისია.

ქრონიკა

— **სავალდებულო დაზღვევისაგან განთავისუფლება.** საქ. ცაკმა მიმართა ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასკომის წინაშე, რომ ფოთისა და ქუთაისის განაპირა ქუჩებზე მდებარე სახლები განთავისუფლებული იქნან სავალდებულო დაზღვევისაგან.

— **მოჯამაგირეთა პირობების გასაუმჯობესებლად.** შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება იმუშავებს სახელმძღვანელო დებულებას მოჯამაგირეთა შრომის პირობების მოსაწესრიგებლათ.

— **ტყავის მრეწველობა.** შრომის სახ. კომისარიატი მოკლე ხანში დაამთავრებს ტყავის ქარხნების ყოველმხრივ გამოკვლევას, რის შემდეგ მიღებული იქნება სათანადო ზომები ნაკლების გამოსასწორებლად.

— **ჭიათურის მუშებს.** სოც. დაზღვევის სამმართველომ ჭიათურის მუშებს სხვადასხვა აგარაკებზე (დასასვენებელ სახლებს გარდა) დაუთმო 23 ადგილი 117 დაზღვეულისათვის.

— **სხვადასხვა აგარაკებზე** სოც. დაზღვევის სამმართველომ აჭარას დაუთმო—25 ადგილი (99 დაზღვეულისათვის), აფხაზეთს—12 ადგილი 145 დაზღვეულისათვის, სამხრეთ-ოსეთს—4 ადგილი (14 დაზღვეულისათვის).

— **მეფუტკრეობის ბიურო** ივლისში ლეჩხუმის მაზრაში აწყობს მეფუტკრეობის მოკლევადიან კურსებს.

— **აპარატის გამარტივება.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა შეუდგეს თავის დაწესებულებების აპარატის გამარტივებას.

— **აგარაკ ბახმაროზე** სეზონი გაიხსნება 1-ლ ივლისს.

— **დასაზღვევი გადასახადისაგან** მაისის განმავლობაში თბ. დამზღვევ სალაროს შემოუვიდა 270,985 მან.

— **სარძეო დახმარება.** თბ. დამზღვევ სალარომ მაისის თვეში ძუძუმწოვარა ბავშვების პატრონ დაზღვეულებს რძის ფულად მისცა 13,.20 მან.

— **სტატისტიკური** სამმართველო გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკის ქ. № 16.

— **ბამბის ქსოვილი.** ამჟამად ამიერ-კავკასიაში თვიურად შემოდის 75 ვაგონი ფართლეული.

— **ხორცეული.** ამჟამად საშუალოდ თბილისის თითო მცხოვრებს დღეში სჭირდება 25 მისხალი (მეოთხედი გირვანქა) ხორცი, ომის დრომდე კი უნდებოდა 30 მისხალი.

— **საბურთალოს ქუჩები.** თბ. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა საბურთალოს ქუჩების მოწყობა-მოწესრიგებას.

— **კანალიზაცია.** თბილისის ქუჩებში მოწყობილ კანალიზაციის ქსელის სიგრძე ამჟამად აღწევს 136 ვერსს, სახლების კი—284 ვერსს.

— **სილის დამზადება.** თბ. აღმასკომის სანიტტეხნიკური სექცია შეუდგა ზაფხულში კანალიზაციის მოსაწყობათ საჭირო სილის დამზადებას.

— **სასაკლაოდან** თბ. აღმასკომს მაისში შემოუვიდა 48,605 მან. 46 კაპიკი.

— **მისაბმელი ვაგონები.** ტრამვაის სამმართველოს ცნობით ამჟამად თბილისის ტრამვაის ხაზზე მუშაობს 28 მისაბმელი ვაგონი.

დღეს, 11 ივნისს, საღამოს 7 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია

თბილისის საბჭოს აღმასკომის გაფართოებული სხდომა

თემ-აღმასკომების თავმჯდომარეთა დასწრებით

დღის წესრიგი:

1) საბჭოთა აღმშენებლობისა და სოფელში მუშაობის შესახებ
2) კომუნალური ბანკის მოხსენება ძირითადი თანხის 1 მილიონ მანეთით გადიდების შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

თბილისის აღმასკომის ყველა წევრთა, კანდიდატთა და თემ-აღმასკომების თავმჯდომარეთა დასწრება სავალდებულოა.

ნ. 1291. 2—2

ხელოვნება

ხოფერიას და გარიბოვის კონცერტი.

ორივე ახალგაზრდა მომღერალი ვოკალურ ხელოვნებას სწავლობს სახელმწიფო კონსერვატორიაში სიმღერის მასწავლებელ ქალის მიხალსკაიას კლასში, ორივე მეტად სერიოზულად ეკიდება ვოკალური განათლების საქმეს და ორივე, როგორც სჩანს, ისწრაფვის პროფესიონალურ საოპერო მოღვაწეობისაკენ.

პირველი ივნისის კონცერტზე ეს ცხადათ გამოაშკარავდა, რადგან მათი უკანასკნელი გამოსვლიდან ნაც კი (წარსულ ზამთარში, მიხალსკაიას კლასის კონცერტზე) ორივე მომღერალს მნიშვნელოვან შედეგებისათვის მიუღწევია როგორც მუსიკალური განათლების, ისე ხმის ტეხნიკის სფეროში.

ხოფერიას სიმღერაში ბევრია მუსიკალობა, ფრაზიროვკა მოფიქრებულია, ხმოვანება თანაბრად განაწილებულია, საჭიროა მხოლოდ უფრო მკაფიო ხმოვანება ერთი რეგისტრიდან მეორეზე გადასვლის დროს და უკეთესი დიქცია. ხოფერიას ხმა სავსებით უდგება საოპერო მოღვაწეობას

გარიბოვის ხმაც მეტად ლამაზია, განსაკუთრებით საშუალო რეგისტრში, დიაპაზონით ის შეიძლება უფრო ფართოც იყოს, ვიდრე ხოფერიას ხმა; მისი ხმაც აგრეთვე სავსებით უდგება საოპერო მოღვაწეობას.

მაგრამ ტეხნიკურის მხრივ გარიბოვის ხმა ვერ არის სათანადოთ დამუშავებული, მომღერალი ყოველთვის ვერ ხმარობს ამას, რის გამო ფრაზიროვკა ჯერ-ჯერობით ვერ არის დამთავრებული.

ორივე კონცერტანტმა გარდა რუს და ქართველ კომპოზიტორების მთელ რიგ რომანსებისა, შეასრულეს ნაწყვეტები ოპერებიდან—ხოფერიამ ოპერიდან „ჯამბაზები" (ნედდას და სილვიოს დუეტი) და გარიბოვმა ფინალის დუეტი „დემონი"-დან.

ხოფერია უფრო მეტად აქცევს თვალყურს სცენას და ამიტომ მისი მიმიკა უფრო შეეფერება დუეტის შინაარს. ამ მხრივ მეტად მოიკოჭლებს გარიბოვი, რომელიც სრულებით არ აქცევს თვალყურს სცენას, ის უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ვოკალურ მხარეს.

ორივე მომღერალმა მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს კონსერვატორიის საუკეთესო ძალებმა: მომღერალმა ქალმა ოგანბეკოვამ, ნიკიტინამ, შახგალდიანმა, სკრიპკაზე დამკვრელმა ბროდსკიმ და პიანისტმა კაზარიანმა, რომელმაც საუცხოვოდ შეასრულა ლისტის პოემა და ეტიუდი.

რახმანინოვის სიუიტა „ზარები" ორ როიალზე შეასრულეს პიანისტმა რუსტამბეკოვმა და ზომმერმა.

პ. ბ.

— **არმიისა და ფლოტის ბაღი.** დღეს, სინათლის გაზეთი № 5, ბაღში სურათი „ვენეციის ლომები", დრამა 8 ნაწილად, უკრავს სამხედრო ორკესტრი.

— **საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კლუბი.** კინო „ცრემლის პირი" 8 ნაწილად

— **მუშათა ცენტრალურ კლუბში** უკანასკნელ 8 თვის განმავლობაში დაიდგა 99 წარმოდგენა, რომლებზედაც დაესწრო 31,880 მუშა-მოსამსახურე.

დღეს კინოებში:

— აპოლო—„ყალბი ქორწინება".
— არფასტო—„კინ".
— სოლეი—„კინ".
— ეთერი—„კინ".
— პალას — „საგანძური ტბის ძირას."
— ოაზის—„საქმრო [illegible]".
— სიმი—„პაოლო ალოვარეს".

პროლეტკულტის ქართული სექტორის მუშაობა

(1924—25 წლის სეზონი)

პროლეტკულტის ქართული სექტორის 1924—25 წლის სეზონი მეტად ნაყოფიერი იყო. სეზონის განმავლობაში წარმოებულმა მუშაობამ დაამტკიცა, რომ წითელ თეატრს თავისი არტისტიული ძალებით და მხატვრული მიღწევებით შეუძლია საპატიო ადგილი დაიჭიროს თბილისის თეატრებს შორის.

სეზონი დაიწყო წარსული წლის 7 ნოემბერს და დაიხურა 17 მაისს. ამ ხნის განმავლობაში სულ გაიმართა 48 წარმოდგენა.

მთელი სეზონის განმავლობაში დადგმული იყო 8 ახალი პიესა: „აჩრდილი ევროპაში", „გესმის მოსკოვ", „რიჟრაჟი", „ჯოჯოხეთის ტრესტი", „ლენინი ყველგან", „ჯანყი გურიაში", „ცხვრის წყარო" და „ბასტილიის აღება".

წარმოდგენები იყო როგორც ფასიანი, ისე უფასო. უფასო წარმოდგენების ბილეთები ნაწილდებოდა მუშათა ორგანიზაციებსა და წითელარმიელთა შორის.

წითელი თეატრის გასული სეზონის მუშაობაში აღსანიშნავია ორი პერიოდი. სეზონის პირველ ნახევარს უფრო აგიტაციური ხასიათი ჰქონდა ამ ხნის განმავლობაში, უმთავრესად, იდგმებოდა თეატრალურ-სამიტინგო პიესები.

სეზონის მეორე ნახევრიდან თეატრმა კურსი აიღო მხატვრულ-თეატრალურ შემოქმედებაზე. ამ დროიდან დადგმული პიესები („ჯანყი გურიაში", „ცხვრის წყარო" და „ბასტილიის აღება") უკვე აღბეჭდილია ნამდვილი მხატვრული შემოქმედების ნიშნებით.

განზრახულია მომავალ სეზონში კიდევ უფრო გადიდებული იქნეს მხატვრულ დადგმათა რიცხვი და გაძლიერებული იქნეს რეპერტუარი ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ პიესებით.

წითელი თეატრის ქართული სექტორის არტისტიულ კადრს შეადგენდენ ახალგაზრდა მუშაკები, რომლებიც პირველათ გამოდიან საცენო ასპარეზზე. დასში ითვლება 30-დე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, რომლებიც არტისტიულ მუშაობას შეუდგენ ერთი წლის სტუდიური მუშაობის შემდეგ.

აღსანიშნავია ამ ახალგაზრდა მუშაკების დაუღალავი ენერგია. ისინი მეტათ უმნიშვნელო ხელფასს იღებენ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მათ არასოდეს არ შეუსუსტებიათ მუშაობა. ერთი სეზონის განმავლობაში 8 ახალი პიესის დადგმა საკმაო სიცხადით ააშკარავებს მათ გულმოდგინეობას და შრომის მოყვარეობას.

Z.

საქართველოს სამხატვრო აკადემია

გამოცდები აკადემიაში უკვე დამთავრდა. აღსანიშნავია განსაკუთრებული წარმატება ხუროთ-მოძღვრობის ფაკულტეტისა. ხსენებული ფაკულტეტის სტუდენტებმა წელს მიიღეს მონაწილეობა სხვა და სხვა შენობების პროექტების კონკურსებზე, პირველი კონკურსი შესდგა ტფილისში ნავთლუღსა და ბაქოში რადიო-სადგურისთვის შენობის პროექტისა და მეორე ბაქოში ტიპიური მუშათა საცხოვრებელი სახლებისა; ორივე კონკურსში მონაწილეობდენ ძველი ინჟინერ-ხუროთმოძღვრებიც, მაგრამ ყველა პრემიები აკადემიის ფაკულტეტის ორ სტუდენტს მისცა ჟიურიმ საუკეთესო შედგენილი პროექტისათვის.

ამ ზაფხულზე განზრახულია აკადემიის სარეორგანიზაციო საკითხების განხილვა, რეორგანიზაციის მიზანია უფრო მკვიდრ და ფართო ნიადაგზე დააყენოს აკადემიის მომავალი საქმიანობა.

აკადემიის საანგარიშო გამოფენა გაიმართება სექტემბრის 1—10-დე.

საკონკურსო გამოცდები აკადემიაში ახლად შემსვლელთათვის დანიშნულია სექტემბრის 10-დან—20-დე, განცხადებები სათანადო საბუთებით მიიღება 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე. ხუროთმოძღვრების ფაკულტეტზე შემსვლელთათვის სავალდებულოა დამატებითი გამოცდები მათემატიკაში.

მეცნიერება და ტეხნიკა

ვარსკვლავების რადიოაქტივობა

1913—14 წ. წ. გერმანელი მეცნიერი კალგოლსტერი რამდენიმეჯერ აფრინდა ჰაერში მეტეოროლოგიურ და ასტრონომიულ გამოკვლევათა მოსახდენად. სხვა მრავალ მოვლენათა შორის მან ჰაერში აღმოაჩინა ახალი სხივები, რომლებიც ემსგავსებიან რენტგენის სხივებს, მაგრამ უფრო მეტი ძალის მქონე არიან.

მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა კალგორსტერს განეგრძო თავისი გამოკვლევები და მათი გაგრძელება მან მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ მოახერხა.

უკანასკნელმა გამოკვლევებმა კალგოლსტერი იმ დასკვნამდი მიიყვანეს, რომ ეს სხივები შედეგია ატომების დაშლის, მაგრამ სხივების სიძლიერემ აფიქრებინა კალგორსტერს, რომ ამ სხივების წარმოშობის დროს ადგილი აქვს უფრო ძლიერ რადიოაქტიურ პროცესებს, ვიდრე რადიუმის დაშლის დროს.

რა ნივთიერებიდან წარმოიშვება კალგორსტერის მიერ აღმოჩენილი სხივები? შესაძლებელია ეს იყოს რადიოაქტიური მტვერი რომელიც მრავლათ მოიპოვება ჰაერში? მაგრამ ირკვევა, რომ რაც მეტია სიმაღლე, მით უფრო მეტია სხივების ძალა, მტვერი კი, პირიქით, რაც უფრო ახლოა დედამიწასთან, უფრო მეტია.

პირიქით, რომ ეს სხივები მოდიოდეს გარედან, სხვა მნათობებიდან, ისინი ნაწილობრივ დაკავებული იქნებოდენ დედამიწის ატმოსფერის მიერ და ამავე დროს ჰაერის ქვედა, უფრო მკვრივი ფენები, შეასუსტებდენ სხივების ძალას. და მართლაც, გამოკვლევები, რომლებიც კალგორსტერმა მოახდინა მის მიერ გამოგონებული ძლიერ მგრძნობიარე ელექტრომეტრის საშუალებით უდაოთ ამტკიცებენ, რომ ეს სხივები წარმოიშვებიან ვარსკვლავთა სამყაროში.

იატაკი ქაღალდიდან

შეერთებულ შტატებში გამოიგონეს ქაღალდიდან იატაკების დაგების საშუალება ამისათვის ქაღალდის მასას ურევენ კირში და მიღებული სითხით აგებენ იატაკს. შემდეგ იატაკს ტკეპნიან, აშრობენ და ღებავენ.

ამ იატაკებს არა აქვთ ჭუჭრუტანები, ძლიერ იაფი ჯდება მათი გაკეთება და იმაგრით ხის მასალას არ [illegible]ბიან

მუშათა ცხოვრება

ასეთი გულგრილობა დაუშვებელია.

(ქ. თბილისის ცენტ. დამზღვევ სალაროს და საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის საყურადღებოდ)

თბილისში არსებობს სხვადასხვა დაწესებულებაში „წერით დამხმარე ბიუროები“, სადაც მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა პროფკავშირის წევრებს. ამ წერითი დამხმარე ბიუროებში სულ მუშაობს 84 ქალი და კაცი კავშირის წევრები. ამათგან დაზღვეულნი არიან 32 კაცი, რაშიც იხდიან 16 პროცენტს თავიანთ ხელფასიდან.

ხელფასი მათ აქვთ 30 მანეთი თვიურად.

ამას გარდა ისინი იხდიან კიდევ ადგილკომის შესანახად პროცენტებს და კავშირის საწევრო გადასახადს და თითქმის არ რჩებათ პურის ფული.

ამავე თანამშრომელთა ადგილკომმა რამოდენჯერმე აღძრა შუამდგომლობა როგორც პროფკავშირის, ისე ცენტრალურ სალაროს წინაშე, რათა შეემცირებიათ საპროცენტო გადასახადი დამზღვევ სალაროს ე. ი. 16 პროცენ. დაეყვანათ იგი მინიმალურამდე, მაგრამ ამაზედ უარი გვითხრეს და ვინც არ გადიხადა 16 პროც. ჩამოართვეს წიგნაკები, რის გამო ჩვენ, თანამშრომლები, უწამლობით განვიცდით დიდ გაჭირვებას.

განა ასეთი გულგრილობა დასაშვებია?

მუშკორი ა. დ. მათხოშელი.

უნდათ გაამართლონ ბოროტმოქმედი

(პროკურორის და ამხ. ნავრუზაშვილის საყურადღებოდ)

გაზ. „კომუნისტი“-ის № 106-ში იყო მოთავსებული წერილი რკ. გზ. ელ. სადგურის მექანიკ **უტკინის** ბოროტმოქმედების შესახებ. წერილი სიმართლეს შეიცავდა. **უტკინი** ბოროტად სარგებლობდა ზედმეტ საათებით; დილით შუადღემდისინ „ზღაპრებს უნდებოდა“, შემდეგ დაარღვევდა მანქანებს, მიატოვებდა და სარდაფებში ლოთობდა; მერე მოდიოდა მთვრალი მანქანის ასაწყობად და აწყობდა ზედმეტი საათების მუშაობას. იმ დღის ნამუშევარს მეორე დღეს იწერდა (სხვის მორიგეობაში) იმ მოსაზრებით, რომ არ შეემჩნიათ ბოროტება.

ახლა დიდათ „დახელოვნებულმა“ სპეცმა **შაშკოვმა** იდვა თავის თავზედ გამოძიება, რომ გაამართლოს თავისი მეგობარი **უტკინი**.

ურიგებს ელ-სადგურის მუშებს ანკეტებს, რათა მათ აწერონ **უტკინის** შესახებ ცნობები. მუშები ამ ანკეტებით უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ, ვინაიდან დაინტერესებული პირები ახდენენ გამოძიებას.

ბ-ნი **შაშკოვი** და **უტკინი** დიდი მეგობრები არიან; რასაკვირველია, შაშკოვმა უნდა დაიცვას ძმა-ბიჭის ინტერესები. პროკურორმა და ამხ. **ნავრუზაშვილმა** უნდა მოჰკიდონ ამ საქმეს ხელი.

მუშკორი **იასამანი**.

გამოგზავნილი წერილებიდან

უპატრონო სახლი

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

ყოფ. მელიქ-აზარიანცის სახლი, რომლის მცხოვრებლებს შეადგენენ ფოსტის და სხვა დაწესებულებების მოსამსახურეები, სრულიად უპატრონოთ არის მიტოვებული. არც სისუფთავეა აქ დაცული, არც ბინების ქირა და სხვა გადასახადი იკრიბება, და თუ იკრიბება, გასამართლებელ საბუთს არ აძლევენ.

წყალიც დაგვიკეტეს.

საჭიროა სახლის კომიტეტმა მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს.

ინფ. ლომიძე—უხ.

ასეთ თავხედობას ბოლო უნდა მოეღოს

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ).

თბ. სამისამართო მაგიდაში არის მოლარედ კობალაძე, რომელიც უდიერად ეპყრობა საქმეზე მოსულ მოქალაქეთ. თუ ვინმეს კარგად აცვია და ლამაზია (მეტადრე ქალი), საქმე მაშინვე კეთდება; თუ არა და უბრალო მიზეზით უკან აბრუნებს. წიგნების გაცემის დროს მყიდველებს აძლევს ინვალიდების დასახმარებლო მარკებს. ხშირი შემთხვევაა, რომ ფულს ართმევს და მარკებს აღარ აძლევს, ფულს კი თვითონ ითვისებს.

ინფ. ნ.

ალაგმეთ ასეთი მოსამსახურეები

(რკ. გზ. პროფკავშირის საყურადღებოდ).

რკ. გზის ზოგიერთი კონდუქტორები მეტად უხეშად ეპყრობიან მგზავრებს და ვაგონში ადგილის საშუალებას არ აძლევენ მგზავრებს, თუმცა თავისუფალი ადგილები ბევრია. იყო შემთხვევა ასეთი: ფოთიდან თბილისში მომავალი მატარებლის კონდუქტორები ავადმყოფ მგზავრს, რომელიც ძლივს [illegible], ერთი ვაგონიდან მეორეში გზავნიდნენ. ბოლოს რევიზორის დახმარებით მოსამსახურეების ვაგონში შეიყვანეს, მაგრამ მთელი ვაგონი რამდენიმე კონდუქტორს ეჭირა და ავადმყოფს პატარა ადგილსაც არ უთმობდნენ, ალბათ თავიანთ ნაცნობებს თუ ინახავდნენ. ასეთ მოვლენებს ბოლო უნდა მოეღოს.

ხელს აწერს ოთხი კაცი.

პასუხად მუშკორ ნიკას

„კომუნისტი“-ს № 110-ში მოთავსებული იყო ქალთა განყოფილების და მილიციის საყურადღებოდ წერილი მუშკორი ნიკოსი, რომელიც ეხებოდა ფოთის ქუჩაზე მცხოვრებ არლადიონ ლომთათიძეს. საქმის ვითარების გამოსარკვევად ჩვენ მიერ დანიშნულ იქნა კომისია. კომისიამ გამოიკვლია ყოველივე მეზობლების და ნაცნობებთა შორის დაკითხვით, რომ ამხ. არლადიონ ლომთათიძე არის ყოვლად პატიოსანი და უანგარო ქალი, რომელსაც არასოდეს არ ჰქონია შემთხვევა მიემართა რაიმე შეუფერებელი მოქმედებისათვის.

ლენინის რაიონის მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებას გამგე **ბიბინეიშვილი**.

იურიდიული რჩევა-დახმარება

„მიწის პატრონი“ მოითხოვს სახლის აღებას, როგორ მოვიქცე

კითხვა

მე ვმსახურობ სადგ. შორაპნის საყუდში ზეინკლად, ვარ პროფკავშირის წევრი (წიგნ. № 407202) მიდგია სახლი დაბა შორაპანში მოქ. შალვა ეფრემის ძე მშვენიერიძის ადგილზე (არა ნაკლებ 18 წლისა). გასულ წელში მოქ. მშვენიერიძემ მომთხოვა იმდენი იჯარა, რომ მე მისი მიცემა ვერ შევძელი და ამის შესახებ განვაცხადე შორაპნის თემის საბჭოში.

საბჭომ დაადგინა: ვინაიდან მოქ. მშვენიერიძეს სოფ. სალვინეთში აქვს საკმაო მიწა წყალი და მე კი ვარ უმიწაწყლო, მოისპოს იჯარა მშვენიერიძის.

ამის შემდეგ მან მიჩივლა ქალ. ზესტაფონის სახალხო სასამართლოში 1924 წ. 23 მარტს, სადაც მას მიწის იჯარა მოესპო.

შემდეგ მან მიმართა ქუთაისის საოლქო სასამართლოს, მაგრამ მას აქაც უარი უთხრეს და დაამტკიცეს ზესტაფონის სახალხო სასამართლოს დადგენილება.

1925 წელში მშვენიერიძემ კიდევ განაახლა საჩივარი ჩემზე ზესტაფონის სახალხო სასამართლოში; ის მოითხოვდა, რომ მე გამენთავისუფლებინა მისი მიწა, ამეღო სახლი, აგებული 18 წლის წინეთ (ეზოში მაქვს გაშენებული სხვადასხვა ხეხილი). 1925 წელს 22 აპრილს ქალ. ზესტაფონის სახალხო მოსამართლემ ამხ. გ. კაკაბაძემ გადამიწყვიტა, რომ ერთი თვის განმავლობაში გავუნთავისუფლო მშვენიერიძეს ბინა შენობის აღებით.

მიწის რაოდენობა უდრის 60 კვად საჟენს. ასეთი ნაჭერი მიწები აღნიშნულ მშვენიერიძეს აქვს გაქირავებული დ. შორაპანში ხუთ ადგილას.

გთხოვთ მომცეთ რჩევა-დარიგება, თუ როგორ მოვიქცე და არის თუ არა კანონიერი ჩემი აქედან გასახლება.

დ. შორაპანში მცხოვრები პავლე ნიკოლოზის ძე ზიზიბაძე.

პასუხი

თუ მოქალაქე მშვენიერიძეს აქვს თავის საჭიროებისათვის სამოსახლო ადგილი სხვაგანაც და ის ადგილი კი, სადაც თქვენ 18 წლის განმავლობაში სახლობთ, მოშენებულია თქვენი საკუთარი შრომით—ბაღით და მიწა გამოყენებულია რიგიანად მეურნეობის თვალსაზრისით, მას (მშვენიერიძეს) არა აქვს არავითარი უფლება მოითხოვოს თქვენი ამ ადგილიდან გამოსახლება თქვენი სახლის, და ბაღის აღებით.

წინააღმდეგ შემთხვევაში მოქ. მშვენიერიძემ უნდა აგინაზღაუროთ თქვენ ყველა ის ხარჯები, რომლიც შედეგად მოჰყვება თქვენი სახლის აღებას და მის ახალ ადგილზე დადგმას, აგრეთვე უნდა მოგეცეთ თქვენი ძველი ადგილის ბაღით გაშენებისა და გაპოხიერებისათვის ცალკე ჯილდო.

იძულებითი გასახლება განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება და ამის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს ცენ. აღმასკომს (იხ. მიწ. კოდექსი მუხ 167).

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვმუშაობ კომუნალურ წყალსადენში; ვცხოვრობ ანტონოვის ქ. სახ. № 2 ში (მე-9 უბანი) მიქირავს ერთი ოთახი სივრცით 38 კვადრატული არშინი, ვცხოვრობთ 4 სული. არ მაქვს სამზარეულო. ჩემს გვერდით ცხოვრობს სახლის პატრონი და ის სარგებლობს სამზარეულოთი, მე კი ბალკონზე ვხარშავ სადილს და მტვერი შიგ ჩამიდის, ვინაიდან ჩემ ბალკონზე დადიან.

მაქვს თუ არა უფლება აუკრძალო ბალკონზე სიარული, რადგანაც მათ აქვთ საკუთარი ბალკონი და „პადიეზდიც“ და სამზარეულოც ჩამოვართვა; ისინი ორნი არიან და უჭირავთ 2 ოთახი სივრცით 80 კვ. არშინი.

აქვს თუ არა უფლება სახლის პატრონს, რომ მოითხოვოს ნაგვის გადასაყრელი ფული და რა უნდა მივცე ბინის ქირად. ვარ დაზღვეული (წიგნაკის № 20487) შრომის ხელფასს ვიღებ თვეში მე-5—ხარისხით 26 მანეთს 70 კ.

მუშა ალ. მახვილაძე.

პასუხი

ბინის ქირად თვიურად იხდით 57 კაპ. ნაგვის გადასაყრელი ხარჯები უნდა გაიღოს სახლის პატრონმა; გაქვთ უფლება უსასყიდლოთ ისარგებლოთ სამზარეულოთი. თუ სახლის პატრონს აქვს ცალკე ბალკონი და შესავალი კარები (პადიეზდი), შეგიძლიათ აუკრძალოთ სიარული თქვენი ბალკონით, თუ ასეთი თქვენ ბინაზე ჰქმნის უსუფთაობასაც.

პროვინციაში

მოაგვარეთ ეს საკითხი

(თბილისის აღმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილების საყურადღებოდ)

არა მგონია თბილისის მაზრის რომელიმე რაიონში ასე მწვავეთ იდგეს მიწის საკითხი, როგორც წალკის რაიონში.

საჭიროა ეს საკითხი რაც შეიძლება დროზე მოგვარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოწამენი გავხდებით არასასიამოვნო შედეგების. მართალია, მიწის კომისია ბევრჯერ ყოფილა წალკაში, არის ეხლაც, განაწილებულია მიწის ნორმები, მაგრამ გლეხობა ამით არ არის კმაყოფილი და, გულახდილათ ვიტყვი, დიდი უკმაყოფილებას აქვს ადგილი გლეხებს შორის, რაც იწვევს მათ შორის ხან საყვედურებს მთავრობის მიმართ და ხან დიდ უსიამოვნებას ერთმანეთს შორის.

იყო შემთხვევები, ქალი, კაცი და დიდი-პატარები ერთიმეორეს დაერივნენ კეტებით და ძლივს-ძლივობით იქნა დაშოშმინებული ადმინისტრაციის მიერ.

ამ რამოდენიმე დღის წინადაც სოფელი სოფელზე ამხედრდა და აქაც საჭირო გახდა ადმინისტრაციის ჩარევა.

ერთი მეორეს სოფელი სოფელს ისე უბღვერის, როგორც მოსისხლე მტერს.

საჭიროა ეს საკითხი მოგვარდეს რაც შეიძლება ჩქარა.

დ. გორდაძე.

სამკითხველო, რომლის კარები მუდამ გამოკეტილია

წყნეთი

სოფ. წყნეთი, როგორც კულტურულად ისე ეკონომიურად, თბილისის ახლო მდებარე სხვა სოფლებთან შედარებით ძლიერ ჩამორჩენილია.

ამ სოფელს მოეპოება კარგად მოწყობილი კლუბი და ყოველგვარი წიგნებით მდიდარი სამკითხველო, მაგრამ უვარგისი ხელმძღვანელის გამო ეს დიდი კულტურის ლამპარი სრულიად ჩამქრალია და არავითარი სარგებლობა ხალხისათვის არ მოაქვს, ვინაიდან მთელი ორი კვირაობითა და ხშირად თვეობითაც სამკითხველოს კარები ჩაკეტილია და იღება მხოლოდ მაშინ, თუ გაიგო, რომ თბილისიდან მიდის შეფკომისია ან სხვა ვინმე.

ამ სამკითხველოს აქვს შეფკომისიის მიერ სხვადასხვა გაზეთები გამოწერილი, მაგრამ ვერც ერთ ახალ გაზეთს ვერ ნახავთ, რადგან სამკითხველო მუდამ დაკეტილია და ვერ არის გაზეთების მიღების საქმე შესაფერად მოწყობილი. კლუბში ხომ ხელმძღვანელი სულ არავითარ მუშაობას არ აწარმოებს; მხოლოდ ადგილობრივი შრომის სკოლის მასწავლებლებისა და მოწაფეების მიერ იმართება ხშირად მოხსენება-წარმოდგენები, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელი, ა. ლეჟავა, ხშირად დახმარების მაგივრად, აფერხებს მათ მუშაობას. მაგ. 7 ივნისს წარმოდგენის დროს სცენისათვის საჭირო იყო პატარა მაგიდა, რომელიც სოფლის საბჭოს საკუთრებას შეადგენდა და მას ებარა, მაგრამ სრულიად უმიზეზოდ მაგიდის თხოვნაზე უარი განაცხადა, რის გამო წარმოდგენა ძლიერ შეფერხდა.

ნუ თუ მარტო კლუბ-სამკითხველოს გამგის სახელის ტარება არის საკმაო და მოქ. ლეჟავა სხვა არაფერ ვალდებულებას არ გრძნობს?

მაათიაი.

ტრაქტორი ლანჩხუთში

ლანჩხუთის რაიონის გლეხკომმა ამხ. პარმენ ცინცაძის დახმარებით და მეთაურობით შეიძინა ტრაქტორი. მანქანის დანახვაზე მთელი გლეხობა ფეხზე დადგა. უთვალავი მუშები და გლეხები აედევნა ტრაქტორს, როდესაც ის წაიყვანეს მინდორში პირველი ცდისათვის. მანქანამ მოლოდინს გადააჭარბა. მას აქვს 25 ცხენის ძალა. ხნავს ორი სახნისით, თან ფარცხავს-აფხვნილებს დახნულ მიწას, აკეთებს შესანიშნავათ, რვა საათის განმავლობაში დახნა 3 დესეტინა [illegible], თან დაფარცხა რა თქმა უნდა, სიღრმეს აკეთებს რამდენიც საჭიროა. სიფართით ერთი ხაზის ავლებით გააქვს არშინ-ნახევარი, მანქანა მუშაობს სწორ და დაფენილ მიწაზე. გამოფვალული (მაგარი) მიწა ვერ უშლის ხელს მის სწრაფ მუშაობას. მთელი მუშები და გლეხები დიდი იმედის თვალით შეჰყურებს ამ მანქანას. მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს: „ეს არის ჩვენი [illegible]“ო, —გაიძახიან ერთსულოვნათ... უსათუოთ დაიწყო ახალი ხანა სოფლის მუშებსა და გლეხების მეურნეობაში. ეს არის თავდები ჩვენი გლეხების [illegible] ცხოვრების პირობების [illegible]ებისა.

კანენი.

პროვინციის ქრონიკა

— **მეაბრეშუმეობის** საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად ოზურგეთის მაზრაში თბილისიდან მივლინებული იქნა ინსტრუქტორი.

— **ნადების წმენდა.** შრ. მაზრის სოც. უზრუნველყოფის ინსპექციას განზრახული აქვს ჩაატაროს მაზრის ფარგლებში ინვალიდთა ნადების წმენდა.

— **შორაპნის** მაზრის თვითშრომელ ხელოსანთა საზოგადოებამ გახსნა საკუთარი სამკითხველო.

— **ქალები გლეხკომებში.** შორაპნის მაზრის გლეხკომებში ამ ჟამად მუშაობს 18 ქალი.

წერილი რედაქციის მიმართ

ფრიად მტკივნეული ინტერესი გამოიწვია საზოგადოების რამდენსამე ნაწილში ვინმე მოქალაქის მახვილაძის ქალის ექიმბაშობამ. ეს მოქალაქე, თვის შეგნებით თუ შეუგნებლობით, სწამლობს ტუბერკულოზით შეპყრობილ ავადმყოფებს რაღაც მისთვის ცნობილი „საშუალებით“ და დაინტერესებულ ხალხსაც იზიდავს.

საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო განყოფილებამ, რომელიც დარაჯათ უდგია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, გადასცა ეს საშუალება რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებს ყოველმხრივ გამოსაკვლევად, თუ როგორ მოქმედობს იგი ცხოველთა და ადამიანის [illegible]ულზე. როცა ეს საშუალება ყოველმხრივ მეცნიერულად გამოკვლეული იქნება, საკურნალო განყოფილება მიიღებს კანონიერ ზომებს, თანახმად ანალიზის შედეგებისა, ან ამ საშუალების სათანადო გამოყენებისათვის რესპუბლიკის სამკურნალო ძალების მიერ, და არა ცრუ ექიმთაგან, ან და მოსახლეობის დაცვისათვის იმ მავნე პირთა მოქმედებისაგან, რომელნიც გამოდიან სამკურნალო ასპარეზზე სათანადო უფლების გარეშე.

ჯანსახკ. სამკურნ. განყ. გამგე **გოცირიძე**.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება *)

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი 1924 წ. დეკემბრის 8-ს.

საკანცელარიო გამოსაღებისა და მისი გადახდევინების წესის შესახებ.

ა/კ. ს ფ. ს. რ. ც-კისა და სახკომსაბჭოს 1923 წლის 22 აგვისტოსა და 27 დეკემბრის საკანცელარიო გამოსაღების შესახებ დადგენილებათა გასაუქმებლად (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებული 1923 წლის № 1 მუხ. 183 და 205) ა/კ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

§ 1. დაინტერესებულ ორგანოთა და პირთა თხოვნის გამოსვლის, ამონაწერის, მოწმობის, ცნობის და სხვა ქაღალდის დამზადებისათვის საბჭოთა დაწესებულება (საერთო-საკავშირო, სარესპუბლიკო და ადგილობრივი), ვის გამგებლობაშიაც საქმეებია, ახდევინებს საკანცელარიო გამოსაღებს 25 კაპ., რაოდენობით, ფურცლის ფორმატის თვითეულ გვერდზე როგორც შევსილზე, ისე შეუვსებელზე

შენიშვნა 1: სახელმწიფო და კომუნალურ საწარმოთა და სახელმწიფო ორგანოებს, რომელნიც სამეურნეო ანგარიშზე არიან, შეუძლიათ როგორც საკუთარს, აგრეთვე ხელქვეით დაწესებულებებში თავისი განკარგულებით შემოიღონ საკანცელარიო გამოსაღები ამ დებულებით გათვალისწინებულ რაოდენობითა და წესით და შემოსული თანხა თავის სასარგებლოდ ჩარიცხონ.

შენიშვნა 2: სრულ გვერდად უნდა ჩაითვალოს ისეთი გვერდი, რომელსაც ორივე მხარეზე ერთად ერთი ვერშოკი ცარიელი ადგილი ექნება და 25 სტრიქონს შეიცავს.

§ 2. საკანცელარიო გამოსაღები უნდა გადახდეს განსაკუთრებული მარკების საშუალებით, როც გათვალისწინებულია მე-4 მუხლში, ამ წესების პირველ §-ში აღნიშნულ ამა თუ იმ ქაღალდის მიღების შესახებ განცხადების ან შუამდგომლობის წარდგენის დროს

§ 3. საკანცელარიო გამოსაღების გადახდიდაგან შემოსული თანხა ჩაირიცხება:

ა) ა/კ ს. ფ. ს. რ. შემოსავალში, უკეთუ ქაღალდი დამზადებულია ისეთ დაწესებულებებში რომელიც ა/კ. ს. ფ. ს. რ.-ის ბიუჯეტზეა.

ბ) ადგილობრივი აღმასკომის შემოსავალში, უკეთუ ქაღალდი დამზადებულია ისეთ დაწესებულებებში რომელიც ადგილობრივ სალარზე ინახება.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც საბუთი მზადდება ისეთ დაწესებულებაში, რომელიც ერთსა და იმავე დროს როგორც სახელმწიფო, აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტზეც ინახება, საკანცელარიო გამოსაღებიდან შემოსული თანხა უნდა ჩაირიცხოს ადგილობრივ ორგანოთა შემოსავალში.

§ 4. საკანცელარიო გამოსაღების გადახდა სწარმოებს 25 კაპ. ღირსების მარკებით, რომელსაც დაამზადებს ს. ს. რ. კ. ფინსახკომის მის მიერ შემუშავებულ ნიმუშის მიხედვით

§ 5 ამ დებულებით გათვალისწინებულ საკანცელარიო გამოსაღების გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) ის პირები, რომლებსაც სათანადო ორგანოები მთანიჭებენ სიღარიბის უფლებას და მხოლოდ იმ საქმეებში, რომლის შესახებაც ეს უფლება იქნება ცნობილი.

ბ) პროფკავშირების წევრები, რომელთაც უჭირავთ პირველი შვიდი კატეგორიის თანამდებობა, ხოლო ვისაც მეშვიდე კატეგორიის ზევით უჭირავს თანამდებობა,—იმათგან თავისუფლდება მხოლოდ ის, ვინც სახელდობრ რომელიმე საქმის შესახებ წარადგენს პროფკავშირის მოწმობას გამოსაღების გადახდის შეუძლებლობის შესახებ.

გ) წითელარმიელები როგორც ნამდვილი სამსახურში მყოფნი, აგრეთვე ვადაგათავებულები ყველა იმ საქმეების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო სამსახურში ყოფნასთან.

დ) სახელმწიფო და კომუნალური დაწესებულებანი და საწარმონი, რომელნიც თავისუფალნი არიან სარეწაო გადასახადისაგან, ყველა მათ წარმოებასთან დაკავშირებულ საქმეებში.

ე) ყველა ქაღალდები, რომლებიც, კანონის სავალდებულო მოთხოვნილების გამო, დაწესებულების მიერ გაიცემა.

ვ) ქაღალდები, რომლებისთვისაც განსაკუთრებულის კანონმდებლობით დაწესებულია სპეციალური საკანცელარიო გამოსაღები, რასაც სხვა საფუძვლითა და სხვა რაოდენობით იხდიან.

ზ) მოწმობა და სხვ დასხვაგვარი ქაღალდები, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის დასანიშნავად საწარმოებელ საქმეებისათვის გაიცემა.

თ) მოწმობა, რომელსაც დაწესებულება მისცემს თავისავე მუშას ან თანამშრომელს იმ საქმეების საწარმოებლად, რომელიც სამსახურს ჯამაგირით დაკმაყოფილებას და სხვადასხვა გადასახადის გადახდას ეხება.

ი) მოწმობა და სხვადასხვაგვარი ცნობები, რომელსაც სამკურნალო დაწესებულება მისცემს მუშა-მოსამსახურეს, ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ პირს და მოსწავლეს მისი ჯანმრთელობის დაზიანება-დასახიჩრების და საავადმყოფოში, სანატორიუმში, კურორტში ყოფნისა და აცრის შესახებ და აგრეთვე შესახებ ოჯახის იმ წევრის იზოლიაციისა, რომელიც გადამდები სენით არის შეპყრობილი.

კ) მოწმობა და სხვადასხვაგვარი ქაღალდი, რომელსაც სასწავლებელი მისცემს მოწაფეს სასწავლებელში სწავლის შესახებ.

ლ) მოწმობა და სხვადასხვა ქაღალდი, რომელიც მიეცემა მუშა-მოსამსახურეს, ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ პირს და მოწაფეს სამსახურში ან სასწავლებელში წარსადგენად.

მ) მთელი საქმის წარმოება მუშათა და გლეხთა ინსპექციის საკონფლიქტო კომისიასთან არსებულ საჩივართა ბიუროში მთავრობის დაწესებულების და თანამდებობის პირთა წინააღმდეგ აღძრული საჩივრების შესახებ.

§ 6. ა. კ. ს. ფ. ს. რ. ფინსახკომს ევალება ამ დებულების შემოღების შესახებ საჭირო წესებისა და ინსტრუქციის გამოცემა.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.
ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.
ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
აშავერდოვი.

---

*) ეს დადგენილება გამოსაქვეყნებლად მივიღეთ რამდენიმე დღის წინად.
რედ.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან

1904 და 1905 წლებში დაბადებულ მოქალაქეთა გასაწვევ უბნებზე მიწერის ვადის გაგრძელების შესახებ.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ თანახმად ს. ს. ს. რ. ტერიტორიალურ სამმართველოს უფროსის განკარგულებისა, ქ. თბილისში და თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში 1904 და 1905 წლებში დაბადებულ მოქალაქეთა გასაწვევ უბნებზე მიწერის ვადა გაგრძელებულია ა/წ 1-ლ ივლისამდე. ამიტომ აღნიშნულ წლებში დაბადებული ყველა მოქალაქენი, რომლებიც რაიმე მიზეზების გამო ჯერ კიდევ არ გამოცხადებულან თავის საცხოვრებელ ადგილის მიხედვით სამხედრო-საალრიცხვო მაგიდაში, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ, რათა ამით აიცილონ მათ თავიდან კანონიერი პასუხისგება გასაწვევ უბანზე მისაწერად გამოუცხადებლობისათვის.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარი
საყვარელიძე.
თანაშემწე ფანჯავიძე.
სამობილიზაციო ნაწილის უფროსი
სიდამონ-ერისთავი.
9 ივნისი, 1925 წ.
ქ. თბილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ ა/წ. 11 ივნისს, დღის 1 საათზე კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგ[illegible]კიო კოლეგიაში.

პირველი რაიკომიდან: ივანოვა მარია, სუსელიანი, ვერსიმაშვილი ნინო, ოჩიგავა გაბრიელ, ბერულაშვილი აკაკი, ბიბინეიშვილი ი., დეკანოზიშვილი გიორგი, კალატოზიშვილი თამარა, ხუბულური რუსუდანი, ნოსკოვა ზინაიდა.

მე-2-ე რაიკომიდან: ნადირაშვილი სოფიო, რაფაელოვი არამ, დუნდუა დავით, კახიანი გიორგი, მარგიშვილი ნიკოლოზ, კიკნაძე დავით, ქარუმიძე ანასტასია, დეკანოზიშვილი ვერა, ბერიძე სოფიო, ხიზუშევი ალექსანდრე, კარაპეტიანი.

მე-3-ე რაიკომიდან: შახიზაროვი ტიგრან, ლომიძე ეკატერინე, ლომთათიძე ლონგინოზი, ნიკიტინა ნადეჟდა, ტულჩინა მარია, შუტკოვა ვერა, ბაბაიანცი ნინა, ადამიანი ვარდო, კალხიდაშვილი გიორგი, პეტროვი ვ., მურადოვი სერგო.

მე-4-ე რაიკომიდან: მელაძე, ციტლანაძე სოლომონ, ვაზდინ, ციურიხოვი, გეუჩაძე ალაქტიონ, საგატელიანი, ელიავა, აბდულ-ზადე, ქიპაშვილი ვლადიმერ, პოპოვი ვიქტორ, გეორქოვი არამ, ბასიშვილი დავით, ტიმოფეევა მარიამ, პირუმოვი სურენ.

საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე: ზეგეშკორი.

— საქ. [illegible] კომიტეტი უკანასკნელად აძლევს წინადადებას შემდეგ ამხ. [illegible] თბ[illegible]ისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ხუთშაბათს, 11 ივნისს, საღამოს 6 საათისათვის.

ლენინის რაიონიდან.

1) ჩხეიძე გიორგი ივანეს ძე, 2) თოფჩიაშვილი გრიგოლ გურგენიძე, 3) კოჩეტკოვი იაკობ აბრამის ძე, 4) სარქისოვი ნიკოლოზ სერგის ძე, 5) ქავთარაძე ვლადიმერ სიმონის ძე, 6) ნორაძე გორნშტეინი, 7) პეტროსიან რუბენ ანტონის ძე.

არსენალის რაიონიდან.

1) დ[illegible]იძე სიმონ ერემიას ძე, 2) ავშტროვი ანტონ სტეფანეს ძე, 3) გასილავა ანტონ სტეფანეს ძე, 4) შელია გრიგოლ ივანეს ძე, 5) აივაზოვი ნიკოლოზ შ., 6) ამატუნი ამატუნ სიმონის ძე, 7) მირიუკოვი ვასილ ა., 8) ბოჭორიშვილი სერგო მ., 9) გოგეიშვილი ვლადიმერ ს., 10) კალანდაძე ბენდიქტე, 11) კანდელაკი გიორგი დ., 12) მე[illegible]იანი პ[illegible] სერგოს ძე, 13) მზარეულაშვილი ვასილი ივანეს ძე, 14) ბალტინ ავ[illegible], 15) ერქომაიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, 16) მდივანი სერგი, 17) საკია ათანასე ლ., 18) შეკრელიძე მიხეილ გ., 19) ტაშჩიევი გიორგი ივანეს ძე, 20) ბრეგაძე პავლე, 21) ლინეკ იაკობ იაკობის ძე, 22) ეროგინ ალექსანდრე მიხეილის ძე, 23) დატუნოვი ივანე გრიგოლის ძე, 24) უნაპკიშვილი ლავრენტი ფილიპეს ძე, 25) დოგენოვი ნიკოლოზ ივანეს ძე.

— დღეს, ივნისის 11, საღამოს სრულ 6 საათზე, რემედასის ცეკას ბინაზე დანიშნულია რემედასის ცეკას პრეზიდიუმის სხდომა.—ვთხოვთ ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ.

რემედასის ცეკას მდივანი **პ. სვანიძე**.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: მარია, ალექსანდრე, ვლადიმერ, ივანე, ილიკო, აკაკი, ეკატერინე და იოსებ ქადეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 10 ამა ივნის, მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი დედა

ირინე ბეჟანის ასული ქადეიშვილისა

დაკრძალვა ოზურგეთში. გასვენება [illegible]რზე დღეს საღამოს 5 საათზე (ო[illegible]ს ქ. № 26). 2—1

ადგილობრივ [illegible] ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა აცნობებს ქ. თბილისის ყველა შოფერებს, რომ გარდაიცვალა ტრანსპორტელების კავშირის წევრი, წითელი ჯვრის ყოფილი შოფერი

ამხ. პარმენ ჭაფარიძე

ცხედრის გამოსვენება მოხდება ბინიდან—ოლღას ქ. № 60. საღამოს 5 საათზე. დასაფლავება—ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.
1603 1—1

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ივანე და ვლადიმერ მამუკას ძე თურქია, მელანია მამუკას ასული ჯიხორიძისა, ნინა მამუკას ასული ხოშოლავასი, მარიამ მამუკას ასული ხოტივარი, ეკატერინე მამუკას ასული ხუსკივაძისა, ნატალია მამუკას ასული თურქია, რძლები; სიძეები და შვილიშვილები აუწყებენ გარდაცვალებას გულითადი საყვარელი

ანასტასია ქაიხოსროს ასული თურქიასი

ქ. ქუთაისში 7 ა. წ. ივნისს. გამოსვენება ქ. ქუთაისში საკუთარ სახლიდან, ხუთშაბათს 11 ივნისს 4 საათზე, დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე
1—1 1600

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ [illegible]ედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—9

ბეჭდვითი საქმის საპაიო ამხანაგობა
„ქართული წიგნის“
დამფუძნებელი კრება
შესდგება 12 ივნისს, საღამოს შვიდ საათზე, თბილისის კომუნალური ბანკის შენობაში (პუშკინის ქ. № 3).
წევრებს აუცილებლად თან უნდა ჰქონდეთ საკვიტანციო ბარათები მათ მიერ შეტანილი პაების შესახებ.
საორგანიზაციო კომიტეტი.
1—1 ნის. 1295

ანჩისხატის მრევლის საყურადღებოდ
ივნისის ცამეტისათვის დანიშნულია საზოგადო კრება ტაძარში. თუ კრება არ შესდგა, მეორე კრება ინიშნება თოთხმეტისათვის. კრება დაიწყება 11 საათზე.
1—1 1597

ჯანსახკომისარიატის
კურორტთა მთავარი სამმართველო
აბასთუმნის ოთახები დანაწილებულია. იმ პირებმა, ვისაც მიეცათ ოთახი, ხვედრი ფული უნდა შემოიტანონ კურორტთა სამმართველოს სალაროში
სრულად 15 ივნისამდე
წინააღმდეგ შემთხვევაში 16 ივნისს ოთახები გადაეცემათ კანდიდატებს.
საკურორტო სამმართველო
ნ. 1296 2—1

გორის მთლიანი კოოპერატივის
გამგეობა
ამით აცხადებს
გორის დაწესებულებების თანამშრომელთა და ყოფილ თანამშრომელთა საყურადღებოთ, რომელთაც მართებთ კოოპერატივის ვალი, რომ დროზე გაასწორონ ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლე ხანში მათი სახელი და გვარი გამოცხადებული იქნება პრესის საშუალებით და ვალი კი განაღდებული სასამართლოს წესით.
გამგეობა.
1290. 2—2

ექიმი გ. ნ. მაზაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—19.

ექიმი
გ. გ. მეჰრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
1246 25—18

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიანი
თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 სათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).
25—18

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
კანისა და ვენერიული სნეულ.
სიფილისი (606—914)
მიღება: კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. სალ.
ქალების 6—7 ს. სალ.
მოსკოვის ქ. № 4.
25—13 № 1432

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.
სოლ[illegible] ბაზარი № 3.
25—3 № 202.

ექიმი
ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპ. № 10, [illegible] ს,
ხიდის მახლობლად ყოფ. [illegible].
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის. სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
25—12

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს საღამოთი: ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 18
შესავალი გრუზენშტეინის ქუჩიდან.
25—13

ექიმი
დ. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული
(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე
ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან
284 25—12.

ექიმი
მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილის[illegible] და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.
25—2

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
№ 3203. 25—12

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49(.
ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.
ნ. 1346 25—18

ექიმი ი. დ. თოფურიძე
ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისის და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის. 25—18.

დაკარგე მთლიანი საკავშირო ბილეთი ს. ა. ლ. კ. კ-სი № 12307, გაცემული ვლადიმერ გედევანის ძე ცხოვრებაძეს სახელზე და აგრეთვე სხვა და სხვა საბუთები მიღებული სხვა და სხვა დაწესებულებიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1596 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 92, სარეწავი მოწმობა და სხვა და სხვა საბუთები ირაკლი მიხეილის ძე მინდაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1604 1—1

დაკარგე პირადი წიგნაკი მოცემული ქ. სამტრედიის სამხედრო მაგიდის მიერ № 20. გრიგოლ ბესარიონის ძე შუბლაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1598 1—1

დაკარგე საალრიცხვო წიგნაკი გაცემული ქ. თბილისის მე-10 რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ ალექსი ნიკ—ძე სარუხანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1595 1—1

დაკარგე საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კლუბის ბილეთი № 1837 ქინქარაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1594 1—1

დაკარგე საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კლუბის ბილეთი № 1834 სონა კიკაჩეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1593 1—1

დაკარგე მოწმობა (პასპორტი) კასინე სიკოს ასული ბერიძის სახელზე, მიღებული ბასილეთის აღმასკომისაგან. 1923 წელში. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1592 1—1

დაკარგე მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაცემული პირადობის სურათით, დამზღვევ კასის წიგნაკი № 33278 იაკინთე გიორგის ძე ვადაჭკორიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1599 1—1

დაკარგე პირადი წიგნაკი, მოცემული ნოქალაქევის რაიონის სამხ. მაგიდის გამგის მიერ ეპიფანე პახვანას ძე გოგიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1602 1—1

დაკარგე ს. ა. ლ. კ. კავშირის მანდატი № 11208 კალისტრატე დავითის ძე ჯანჯღავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1602 (ა) 1—1

დაკარგე პარტბილეთი № 494121 ივანე პეტრეს ძე კვარაცხელიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1602 (ბ) 1—1

დაკარგე პირადი წიგნაკი № 591 მოცემული გორის მაზრის სამმართველოსთან არსებულ სამხედრო მაგიდის გამგეს მიერ ვასილ გიორგის ძე გურასპაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1602 (გ) 1—1

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4